

პრაქტიკის დოკუმენტი

ინტერნეტით დიზაინებზე ინფორმაციის
გახსნის შეფასების კრიტერიუმები

საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის შენიშვნა

წინამდებარე პრაქტიკის დოკუმენტი მომზადებულია „საერთო კომუნიკაციის“ შესაბამისად, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ქსელის (EUIPN) მიერ შემუშავებული „დიზაინების საერთო პრაქტიკის“ საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრას ინტერნეტით დიზაინებზე ინფორმაციის გახსნასთან დაკავშირებით. პრაქტიკის დოკუმენტი მოერგო საქართველოს თავისებურებებს, მასში გათვალისწინებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ხარისხის სტანდარტები, დიზაინზე ინფორმაციის გახსნასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პრაქტიკის დოკუმენტი დამტკიცებულია ეროვნულ დონეზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია ექსპერტებისა და მოსარგებლებებისთვის, გამჭვირვალობის, კანონთან შესაბამისობისა და პროგნოზირების შემდგომი ამაღლების მიზნით.

1. საფუძველი

წინამდებარე პრაქტიკა ეხება ინტერნეტით დიზაინებზე ინფორმაციის გახსნას და წარმოგვიდგენს რეკომენდაციებს აღნიშნულთან დაკავშირებით.

პრაქტიკა მოიცავს ასპექტებს მტკიცებულებათა ტიპებიდან, რომლებიც მისაღებია, როგორც ინტერნეტით მოპოვებული ინფორმაციის წარდგენისთვის, ისე სოციალური მედიის ვებგვერდებიდან, ონლაინმედიიდან, აპლიკაციებიდან ან სხვა ონლაინწყაროებიდან მიღებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციების წარსადგენად.

პრაქტიკა განკუთვნილია ნებისმიერი საქმისწარმოებისთვის, (მაგ., სიახლის *ex officio* ექსპერტიზა, ბათილად ცნობა) ან დიზაინის სტატუსისთვის¹. შესაბამისად, ის შეიძლება სახელმძღვანელოდ გამოადგეთ დიზაინერებს ან სხვა უფლებათა მფლობელებს ინტერნეტით დიზაინებზე ინფორმაციის გახსნისას ან აღნიშნულის მტკიცებისას.

წინამდებარე პრაქტიკა საჯაროდ ხელმისაწვდომია პრაქტიკის დოკუმენტის საშუალებით, რომლის მიზანია გამჭვირვალობის, კანონთან შესაბამისობისა და პროგნოზირების გაზრდა ექსპერტების და მოსარგებლეებისათვის.

2. პრაქტიკა

ქვემოთ მოცემულ ტექსტში შეჯამებულია პრაქტიკის დოკუმენტის მთავარი გზავნილები და პრინციპების ძირითადი დებულებები.

პრაქტიკის დოკუმენტის სრული ვერსიისა და ყველა გამოყენებული მაგალითის ნახვა შესაძლებელია წინამდებარე დოკუმენტის მომდევნო განყოფილებაში.

ინტერნეტით ინფორმაციის გახსნის შესაფასებლად, გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი კრიტერიუმები:

| | |
|-------------------|--|
| კრიტერიუმი | ინტერნეტში დიზაინის გამუდმების წყაროები „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ შეიცავს რაიმე შეზღუდვას, თუ სად უნდა მოხდეს ინფორმაციის გახსნა, რომ დიზაინი ჩაითვალოს საჯაროდ ხელმისაწვდომად. შესაბამისად, ზოგადად, დიზაინზე ინფორმაციის გახსნა შეიძლება მოხდეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მათ შორის, ინტერნეტით. |
| პრაქტიკა | ინტერნეტით ინფორმაციის გახსნის ყველაზე გავრცელებული წყაროებია: ა) ვებგვერდები არსებობს მრავალი ვებგვერდი, სადაც შესაძლებელია დიზაინზე ინფორმაციის გახსნა მაგ., ონლაინმაღაზიები, სოციალური მედიის გვერდები ან ონლაინ მონაცემთა ბაზები. პრაქტიკიდან გამომდინარე, რეკომენდებულია <i>მათ შორის</i> : |

¹ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არარეგისტრირებული დიზაინების დაცვას.

- ვებგვერდიდან მოპოვებული მტკიცებულების წარდგენა მასში მოცემული შესაბამისი ინფორმაციის ამონაბეჭდის ან სკრინშოტის სახით.
- წარდგენილი მტკიცებულებები შეიცავდეს შესაბამისი დიზაინის მკაფიო გამოსახულებას, რომელზეც ნაჩვენებია მისი ნიშნები, ინფორმაციის გახსნის თარიღი და URL მისამართი.
- თუ ინფორმაცია მიღებულია ამონაბეჭდის სახით, მისი დაბეჭდვის თარიღი ჩაითვლება ინფორმაციის გახსნის თარიღად, თუ დოკუმენტის შინაარსიდან ან სხვა მტკიცებულებიდან არ დადგინდა სხვა უფრო ადრინდელი შესაბამისი თარიღი.
- დიზაინზე ინფორმაციის გახსნის მტკიცებულების შეფასებისას, რომელიც ვებგვერდიდან არის მოპოვებული, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ინფორმაცია ვებგვერდის დანიშნულებისა და მისი ძირითადი მახასიათებლების შესახებ.

ბ) აპები (აპლიკაციები)

დიზაინზე ინფორმაციის გახსნა შეიძლება დადგინდეს აპების საშუალებით, კერძოდ, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტით გაყიდვებთან, აუქციონებთან, სოციალურ ქსელთან და ა.შ.

პრაქტიკიდან გამომდინარე, რეკომენდებულია *მათ შორის*:

- თუ აპებს აქვს ვებგვერდის ვერსია, ინფორმაციის ამოღება ვებგვერდის ვერსიიდან და არა თვით აპიდან.
- თუ ვებგვერდის ვერსია არ არის ხელმისაწვდომი, შესაძლებელია მობილური მოწყობილობის სკრინშოტის გამოყენება მტკიცებულების სახით.

გ) ელექტრონული ფოსტა

ელექტრონული ფოსტის გაცვლა ფართოდ გამოიყენება კომერციაში და შეიძლება იყოს დიზაინებზე ინფორმაციის გახსნის წყაროც.

პრაქტიკიდან გამომდინარე, რეკომენდებულია *მათ შორის*:

- შესაძლებლობის შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციის მტკიცებულებით ნაჩვენები იქნას დიზაინის გრაფიკული გამოსახულება, კერძოდ, როდესაც შეიცავდა მას გაგზავნილი დანართი.
- მკაფიოდ მიეთითოს ინფორმაციის გახსნის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი თარიღი, როდესაც ელფოსტა შეიცავს რამდენიმე თარიღს.
- გათვალისწინებული იქნას ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციის მიმღები და მისი დანიშნულება, რადგან ის შეიძლება შეიცავდეს მითითებას იმის შესახებ, იყო თუ არა

| | |
|--------------------------|---|
| | <p>განკუთვნილი ის მოცემულ სექტორში სპეციალიზებული წრეებისათვის.</p> <p>დ) ფაილის გაზიარება ისეთი ფაილის მომზადება, რომელიც მოიცავს ფაილის გაზიარების სისტემით ხელმისაწვდომ დიზაინს (მაგ., ერთრანგიანი ქსელი (P2P) ან ფაილის ჰოსტინგის პლატფორმები) შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციის გახსნის ფაქტს.</p> <p>პრაქტიკიდან გამომდინარე, რეკომენდებულია <i>მათ შორის</i>:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფაილის გაზიარებით ინფორმაციის გახსნის მტკიცებისას, წარდგენილ იქნას ნებისმიერი ხელმისაწვდომი დამატებითი მტკიცებულება, როგორცაა ახალი მასალის ატვირთვის შესახებ მომხმარებლების ელფოსტით ინფორმირება და ა.შ. • თუ ფაილის პლატფორმაზე ატვირთვის თარიღი არ არის ხელმისაწვდომი, შესაბამისი თარიღი შეიძლება დადასტურდეს იმ თარიღის ჩვენებით, როდესაც ფაილი ფაქტობრივად იქნა გადმოწერილი მომხმარებლის მიერ. |
| <p>კრიტერიუმი</p> | <p>ინფორმაციის გახსნის შესაბამისი თარიღის დადგენა ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შეფასებისას, საჭიროა იმ თარიღის დადგენა, როცა ის საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა.</p> |
| <p>პრაქტიკა</p> | <p>ინფორმაციის გახსნის შესაბამის თარიღთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება დადგინდეს სხვადასხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, პრაქტიკიდან გამომდინარე, რეკომენდებულია <i>მათ შორის</i>:</p> <ul style="list-style-type: none"> • დიზაინებზე ინფორმაციის გახსნის დამტკიცების მიზნით, კერძოდ, შესაბამის თარიღთან დაკავშირებით, საძიებო სისტემის მომსახურების ნაცვლად, უმჯობესია ვებგვერდების დაარქივების მომსახურების გამოყენება. • დიზაინებზე ინფორმაციის გახსნის მტკიცებულების დასაცავად, პრევენციული ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას დროის აღნიშვნა. • თუ დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შესახებ მტკიცებულებების მოსაპოვებლად საჭიროა რამდენიმე მოქმედება, ინტერნეტით მოძიების მთლიანი სესიისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროის აღნიშვნა. • სასამართლო ექსპერტიზის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტების გამოყენებით მოპოვებული მტკიცებულებების წარდგენისას, წარდგენილ იქნას ინფორმაცია ინსტრუმენტების გამოყენებისა და ინფორმაციის მოპოვების შესახებ, ასევე, თუ რა სახის ინფორმაცია და რომელი კონტენტიდან იქნა ამოღებული. |

| | |
|--------------------------|---|
| <p>კრიტერიუმი</p> | <p>ინტერნეტით მოპოვებული მტკიცებულების წარმოდგენის საშუალებები „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს რაიმე სპეციალურ ფორმას, რომლითაც უნდა წარედგინოს მტკიცებულება დიზაინების გამჟღავნების შესახებ. ზოგადად, დიზაინზე ინფორმაციის გახსნის ნებისმიერი დამადასტურებელი საშუალების წარდგენაა შესაძლებელი.</p> |
| <p>პრაქტიკა</p> | <p>ინტერნეტით მოპოვებული მტკიცებულების წარდგენის საშუალებებთან დაკავშირებით, პრაქტიკიდან გამომდინარე, რეკომენდებულია <i>მათ შორის</i>:</p> <p>ა) ამონაბეჭდი და სკრინშოტი</p> <p>ამონაბეჭდი და სკრინშოტი საუკეთესო შემთხვევაში, შეიცავდეს ინფორმაციას იმ წყაროს შესახებ, საიდანაც ამოღებულ იქნა კონტენტი (მაგ., URL მისამართი), შესაბამისი თარიღისა და იმ დიზაინის მითითებით, რომელზეც მოხდა ინფორმაციის გახსნა და არ უნდა იყოს ხელით ჩასწორებული.</p> <ul style="list-style-type: none"> • თუ ამონაბეჭდში და სკრინშოტში, წარდგენილია რამდენიმე თარიღი და/ან დიზაინი, მაშინ გარკვევით მიეთითოს, თუ რომელია შესაბამისი თარიღი/დიზაინი. • დიზაინის სურათები იქნას მკაფიო და სათანადო ხარისხის, რომ შესაძლებელი იქნას მათი ნიშნების დადგენა. <p>ბ) გამოსახულებები და ვიდეოები</p> <ul style="list-style-type: none"> • წარდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია იმ წყაროს შესახებ, სადაც შეიქმნა დიზაინზე ინფორმაციის გახსნის ამსახველი გამოსახულებები და ვიდეოები. • უნდა დადგინდეს დიზაინზე ინფორმაციის გახსნის ამსახველი გამოსახულების ან ვიდეოს საჯაროდ ხელმისაწვდომობის თარიღი. • დიზაინზე ინფორმაციის გახსნის ამსახველი გამოსახულება წარდგენილ უნდა იქნას ამონაბეჭდის ან სკრინშოტის სახით. • წარდგენილ უნდა იქნას თავად ვიდეო (მაგ., როგორც ფაილი) ან მხოლოდ შესაბამისი ნაწილების ამონარიდები, სადაც დიზაინი აღქმადია. მხოლოდ ვიდეოს URL-ის წარდგენა არ არის საკმარისი. • როცა მეტამონაცემები წარდგენილია მტკიცებულების სახით, უმჯობესია მიეთითოს ინფორმაცია მათი მოპოვების, ამოღებისა და წყაროს შესახებ. <p>დ) URL მისამართები და ჰიპერბმულები</p> <ul style="list-style-type: none"> • თუ წარდგენილია URL მისამართი ან ჰიპერბმული, წარდგენილ იქნას ასევე შესაბამისი ინფორმაციის ამსახველი ამონაბეჭდი ან სკრინშოტი. <p>ე) წერილობითი განცხადებები</p> <ul style="list-style-type: none"> • წერილობით განცხადებებში შემაჯავლი ინფორმაცია, |

| | |
|--------------------------|---|
| | <p>დამტკიცებული ან დამოწმებული, მოიცავდეს ისეთ დამატებით მტკიცებულებას, როგორცაა ამონაბეჭდი ან სკრინშოტი, რომელშიც მოცემულია ინფორმაციის გახსნის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია (მაგ., დიზაინი, ინფორმაციის გახსნის თარიღი და სხვ.).</p> |
| <p>კრიტერიუმი</p> | <p>გამონაკლისები დიზაინის ინტერნეტით ხელმისაწვდომობის შესახებ</p> <p>თუ ერთხელ უკვე დადასტურდა დიზაინზე ინფორმაციის გახსნის ფაქტი, ივარაუდება, რომ ეს დიზაინი გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი. ზოგადად, ინტერნეტის გლობალური ბუნების გათვალისწინებით, ონლაინკონტენტი ხელმისაწვდომია მთელს მსოფლიოში.</p> <p>მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, ინფორმაციის გახსნის შემთხვევები არ ჩაითვლება. საქართველოში მოღვაწე შესაბამისი სფეროს სპეციალიზებული წრეებისთვის, ეს შეიძლება გამოწვეულ იქნას გარკვეული შეზღუდვებით, კერძოდ, ინტერნეტში ინფორმაციის ხელმისაწვდომობით ან მოძიების შესაძლებლობით. ინფორმაციის გახსნის პრეზუმფციის უარყოფის მიზნით, დიზაინის ხელმისაწვდომობაზე მოქმედი ეს გამონაკლისები უნდა დადასტურდეს შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენით.</p> |
| <p>პრაქტიკა</p> | <p>ინტერნეტში დიზაინის ხელმისაწვდომობის გამონაკლისებთან დაკავშირებით, პრაქტიკიდან გამომდინარე, რეკომენდებულია <i>მათ შორის</i>:</p> <ul style="list-style-type: none"> • ზოგადად, არც ადამიანთა შეზღუდულ წრეზე წვდომის შეზღუდვა პაროლის დაცვით და არც წვდომისათვის საჭირო თანხის გადახდის დაწესება არ შეუშლის ხელს დიზაინს, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა ვებგვერდზე, აპში ან ფაილის გაზიარების პლატფორმაზე, ჩაითვალოს საჯაროდ ცნობილად. • შესაბამისი სფეროდან გამომდინარე, ენებსაც შეუძლია გავლენის მოხდენა საქართველოში მოქმედი სპეციალიზებული წრეების შესაძლებლობაზე, შეიტყონ ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის თაობაზე. • ინტერნეტით დიზაინის მოძიების შესაძლებლობის შეფასებისას გასათვალისწინებელია, იყო თუ არა ინფორმაციის გახსნის კონკრეტული წყარო ტექნიკურად ხელმისაწვდომი. უფრო მეტიც, მოცემული სფეროს სპეციალიზებული წრეების ჩვეულ რეჟიმში მუშაობისას, იმის დაზუსტებისას, ნაპოვნი იქნა თუ არა ინტერნეტში სათანადო ინფორმაცია, გასათვალისწინებელია სპეციფიკური წეს-ჩვეულებები ან ქცევები. • Geo-ბლოკირება ასევე შეიძლება იყოს კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოში მოქმედი სპეციალიზებული წრეებისთვის ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. • ისეთი სიტუაციები, როცა დიზაინზე ინფორმაციის გახსნა მოხდა კონფიდენციალობის პირდაპირი ან არაპირდაპირი პირობით, არ ჩაითვლება დიზაინზე ინფორმაციის გახსნად. |



პრაქტიკა

ინტერნეტით დიზაინებზე ინფორმაციის
გახსნის შეფასების კრიტერიუმები

CP10 – ინტერნეტით დიზაინებზე ინფორმაციის გახსნის შეფასების კრიტერიუმები

| | | |
|----------|--|-----------|
| 1 | შესავალი | 1 |
| 1.1 | წინამდებარე დოკუმენტის მიზანი | 1 |
| 1.2 | პრაქტიკის ფარგლები | 1 |
| 2 | პრაქტიკა | 3 |
| 2.1 | ძირითადი ცნებები | 3 |
| 2.2 | ინფორმაციის გახსნის წყაროები | 4 |
| 2.2.1 | ვებგვერდები | 5 |
| 2.2.2 | აპები | 7 |
| 2.2.3 | ელექტრონული ფოსტა..... | 8 |
| 2.2.4 | ფაილის გაზიარება | 9 |
| 2.3 | ინფორმაციის გახსნის შესაბამისი თარიღის დადგენა | 10 |
| 2.3.1 | სამიუნივერსიტეტო სისტემებისა და ვებგვერდების დაარქივების მომსახურებების მიერ უზრუნველყოფილი თარიღები | 10 |
| 2.3.2 | კომპიუტერის მიერ გენერირებული ინფორმაცია დროის აღნიშვნის შესახებ | 14 |
| 2.3.3 | სასამართლო ექსპერტიზის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტები | 18 |
| 2.4 | ინტერნეტით მოპოვებული მტკიცებულების წარდგენის საშუალებები | 18 |
| 2.4.1 | ამონაბეჭდი და სკრინშოტი..... | 19 |
| 2.4.2 | გამოსახულებები და ვიდეოები | 25 |
| 2.4.3 | მეტამონაცემები | 26 |
| 2.4.4 | URL მისამართები და ჰიპერბმულები | 27 |
| 2.4.5 | წერილობითი განცხადებები | 27 |
| 2.5 | გამონაკლისები დიზაინის ხელმისაწვდომობაზე..... | 28 |
| 2.5.1 | პაროლები და გადახდები | 30 |
| 2.5.2 | ენა და ზედა დონის დომენის სახელები | 30 |
| 2.5.3 | მოძიებადობა..... | 30 |
| 2.5.4 | Geo-ბლოკირება | 31 |
| 2.5.5 | კონფიდენციალურობა..... | 31 |
| | დანართი: ტერმინოლოგიური ლექსიკონი | 33 |
| | ციტირებული სასამართლო გადაწყვეტილებები | 39 |

1 შესავალი

1.1 წინამდებარე დოკუმენტის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია დიზაინებზე ინტერნეტით ინფორმაციის გახსნის შეფასებისთვის კრიტერიუმების განსაზღვრა და აღნიშნულთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარდგენა (შემდგომში, „პრაქტიკა“).

ეს პრაქტიკა განკუთვნილია მომხმარებელთა ასოციაციებისთვის, განმცხადებლებისთვის, უფლების მფლობელებისთვის, წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის სახელმძღვანელოდ.

ეს პრაქტიკა ფართოდ და ადვილად ხელმისაწვდომი გახდება, რაც უზრუნველყოფს ინტერნეტით დიზაინებზე ინფორმაციის გახსნის შესაფასებლად მკაფიო და ყოვლისმომცველ რეკომენდაციებს. იგი შექმნილია ზოგადი გამოყენებისთვის და მისი მიზანია მოიცვას შემთხვევების უმეტესობა. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი მტკიცებულებები ყოველთვის ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შეფასებისას იმ ქვეყნებში, რომლებმაც გაავრცელეს ეს პრაქტიკა, იგივე კრიტერიუმები იქნას მხედველობაში მიღებული.

1.2 პრაქტიკის ფარგლები

ელექტრონული კომერციისა და ინტერნეტით სავაჭრო ოპერაციების განვითარების გამო, დიზაინებზე ინფორმაციის გახსნა სულ უფრო ხშირად ხდება ამ საკომუნიკაციო არხის საშუალებით, რაც წარმოშობს კითხვებს იმის შესახებ, თუ როგორ დადგინდეს ინტერნეტით ინფორმაციის გახსნა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ინტერნეტში განთავსებული შინაარსი განიხილება, როგორც საჯაროდ ხელმისაწვდომი.

ამ პრაქტიკის მიზანია ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასებასთან დაკავშირებით, შეიტანოს სიცხადე და მოახდინოს თანმიმდევრულობა და ჰარმონიზაცია.

შედეგად, წარმოდგენილია ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შეფასების კრიტერიუმების ერთობლიობა და შესაბამისი რეკომენდაციები. ეს პრაქტიკა მოიცავს ასპექტებს მტკიცებულებათა ტიპებიდან, რომლებიც მისაღებია ინტერნეტით მოპოვებული ინფორმაციის წარსადგენად, კონკრეტულ რეკომენდაციებამდე, სოციალური მედიის ვებგვერდებიდან, ონლაინმედიიდან, აპლიკაციებიდან ან სხვა ონლაინწყაროებიდან მიღებული მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით.

ზოგადად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დიზაინი უნდა ჩაითვალოს საჯაროდ ხელმისაწვდომად, თუ იგი გამოქვეყნდა რეგისტრაციის შემდეგ, ან გამოიფინა, ან გამოიყენებოდა ვაჭრობაში ან სხვაგვარად მოხდა დიზაინზე ინფორმაციის გახსნა, დიზაინის ინტერნეტით ხელმისაწვდომობის შესახებ არსებული გამონაკლისების გათვალისწინებით. წინამდებარე დოკუმენტის შედგენისას, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში იყო მიღებული განვითარებადი და მომავლის ტექნოლოგიები.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს პრაქტიკა ადგენს ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შეფასების კრიტერიუმებს და იძლევა რეკომენდაციებს შემდეგ საკითხებზე:

- ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შესაძლო წყაროები;
- მტკიცებულებათა სახეობები, რომლებიც გამოიყენება ინტერნეტით ინფორმაციის გახსნის მტკიცებისას;
- სხვადასხვა საშუალებები ინფორმაციის გახსნის თარიღის დასადგენად;
- გამონაკლისები ინტერნეტით დიზაინის ხელმისაწვდომობაზე.

პრაქტიკა განკუთვნილია ნებისმიერი საქმისწარმოებისთვის, (მაგ., სიახლის *ex officio* ექსპერტიზა, ბათილად ცნობა) ან დიზაინის სტატუსისთვის (ე.ი. რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული). შესაბამისად, იგი შეიძლება სახელმძღვანელოდ გამოადგეთ დიზაინერებს ან სხვა უფლებათა მფლობელებს ინტერნეტით დიზაინებზე ინფორმაციის გახსნისას ან აღნიშნულის მტკიცებისას.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული „საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამის სფეროში მოღვაწე პირთა“ კონცეფციის შეფასება სცილდება ამ პრაქტიკის ფარგლებს.

წინამდებარე დოკუმენტის ბოლოს მოცემულია ლექსიკონი (დანართი), რომლის მიზანია განმარტოს პრაქტიკის დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები. დოკუმენტის ტექსტის შესაბამისი ტერმინები, რომლებიც ხაზგასმულია და მოცემულია ლურჯი შრიფტით, მიბმულია ლექსიკონთან².

² ციფრულ ფორმატში წაკითხვისას, მკითხველებს „ctrl + დაჭერა“ ბრძანების გამოყენებით შეუძლიათ ნახონ აღნიშნული ტერმინების შესაბამისი განმარტებები. ტექსტის მონიშნულ ადგილზე დასაბრუნებლად, კლავიატურაზე დააჭირეთ „Alt + მარცხენა ღილაკს“.

2 პრაქტიკა

2.1 ძირითადი ცნებები

დიზაინის დაცვა შესაძლებელია, თუ ის არის ახალი და ინდივიდუალური ხასიათისა³. დიზაინი ჩაითვლება ახლად, თუ მანამდე იდენტური დიზაინი არ გამჟღავნებულა საჯაროდ და ექნება ინდივიდუალური ხასიათი, თუ ინფორმირებულ მომხმარებელზე მის მიერ მოხდენილი საერთო შთაბეჭდილება განსხვავდება იმ შთაბეჭდილებისგან, რომელსაც ახდენს იმავე მომხმარებელზე ადრინდელი დიზაინი.⁴ ამდენად, დიზაინის დაცვის სურათის შეფასებისას ინფორმაციის გახსნა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი. კერძოდ, დიზაინი შეიძლება ჩაითვალოს საჯაროდ ხელმისაწვდომად, თუ ის გამოქვეყნდა ან გამოიფინა, ან გამოიყენებოდა ვაჭრობაში ან სხვაგვარად მოხდა დიზაინზე ინფორმაციის გახსნა, განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- (i) ზემოთ აღნიშნული ქმედებები, არ იყო იმგვარი, რომ საჯაროდ ხელმისაწვდომი გამხდარიყო საქართველოში შესაბამის სფეროში მოღვაწე პირებისთვის⁵.
- (ii) დიზაინზე ინფორმაციის გახსნა მოხდა მესამე პირებისთვის პირდაპირ ან ირიბად, კონფიდენციალობის დაცვის პირობით.

უფრო მეტიც, „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულია სხვა გამონაკლისებიც, როდესაც შეიძლება დიზაინი არ ჩაითვალოს საჯაროდ ხელმისაწვდომად, კერძოდ, როდესაც მასზე ინფორმაციის გახსნა მოხდა:

- (i) დიზაინერის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ 12-თვიან პერიოდში, განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის თარიღამდე.
- (ii) დიზაინერის ან მისი უფლებამონაცვლის მიმართ განხორციელებული არაკეთილსინდისიერი ქმედების შედეგად.

ზოგადად ითვლება, რომ დიზაინი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა, თუ დადგინდა მასზე ინფორმაციის გახსნის ფაქტი, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც შესაძლებელია ზემოაღნიშნული გამონაკლისების გამოყენება.

ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი სამი ძირითადი ასპექტი:

- (i) *ინტერნეტწყარო, სადაც მოხდა დიზაინზე ინფორმაციის გახსნა*

ზოგადად, დიზაინზე ინფორმაციის გახსნა შეიძლება მოხდეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მათ შორის, ინტერნეტით⁶. ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი:

- შესაძლო წყაროები, სადაც შეიძლება მოხდეს დიზაინებზე ინფორმაციის გახსნა, მაგ.,

³ „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი

⁴ „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტები

⁵ 14/03/2018, T-651/16, Footwear, EU:T:2018:137, § 48

⁶ 13/02/2014, C-479/12, Gartenmöbel, EU:C:2014:75, § 33

- [ვებგვერდები](#), დოკუმენტის გაზიარება და სხვ.;
- ინფორმაციის გახსნის წყაროს დეტალები.

(ii) დიზაინზე ინფორმაციის გახსნა

დიზაინი, რომელზეც ინფორმაციის გახსნა მოხდა ინტერნეტით, ითვლება საჯაროდ ცნობილად. ზოგადად, მნიშვნელობა არ აქვს, დიზაინზე ინფორმაციის გახსნა, მოხდა სასაქონლო ნიშნის, საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების, პატენტის, სასარგებლო მოდელის თუ სხვა სახით⁷.

ინტერნეტი იძლევა დიზაინზე ინფორმაციის გახსნის უამრავ შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები:

- ინტერნეტით მიღებული მტკიცებულების წარმოდგენის საშუალება (მაგ., [ამონაბეჭდები](#), [ვიდეოფილები](#), წერილობითი განცხადებები და სხვ.);
- იმ დიზაინის გამოსახულება და იდენტიფიცირება, რომელზეც მოხდა ინფორმაციის გახსნა, ინტერნეტმტკიცებულების სახით.

(iii) ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის თარიღი

ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შეფასებისას, არსებითია იმ თარიღის დადგენა, როცა ის საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა (შემდგომში, „შესაბამისი თარიღი“).

შესაბამისი თარიღის დადგენისას, შეიძლება წარმოიშვას მრავალი საკითხი, კერძოდ:

- როგორ დადგინდეს შესაბამისი თარიღი, როცა თარიღი არ არის მითითებული ინტერნეტწყაროში;
- რომელია ინფორმაციის გახსნის შესაბამისი თარიღი, თუ მტკიცებულებაში რამდენიმე თარიღია მოცემული;
- როგორ განისაზღვროს შესაბამისი თარიღი, როცა მითითებული თარიღი არის დროის გარკვეული პერიოდი (მაგ., წუთები, საათები, დღეები, კვირები ან თვეები) იმ დროიდან, როცა ინფორმაცია გამოქვეყნდა (შედარებითი თარიღი) და არა კონკრეტული დღე და დრო (ზუსტი თარიღი).

2.2 ინფორმაციის გახსნის წყაროები

როგორც „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტშია აღნიშნული, დიზაინი შეიძლება ჩაითვალოს საჯაროდ ხელმისაწვდომად, თუ ის გამოქვეყნდა რეგისტრაციის შემდეგ ან სხვაგვარად, ან გამოიფინა, ან გამოყენებული იყო ვაჭრობაში ან სხვა გზით მოხდა მასზე ინფორმაციის გახსნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ დებულებაში მოცემულია მხოლოდ ინფორმაციის გახსნის შესაძლო შემთხვევების მაგალითები (მაგ. „გამოქვეყნდა რეგისტრაციის შემდეგ ან სხვაგვარად“, „გამოიფინა“, „გამოიყენება ვაჭრობაში“), და არა ამომწურავი სია ასეთი შემთხვევებისა (მაგ. „სხვა გზით მოხდა ინფორმაციის გახსნა“). უფრო მეტიც, არ არსებობს

⁷ 21/05/2015, T-22/13 and T-23/13, Umbrellas, EU:T:2015:310, § 24

იმის შეზღუდვა, თუ სად უნდა მოხდეს ინფორმაციის გახსნა, რათა დიზაინი ჩაითვალოს საჯაროდ ხელმისაწვდომად.

ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის დიზაინის ყველაზე გავრცელებული წყაროებია:

- ვებგვერდები;
- [აპები \(აპლიკაციები\)](#);
- [ელექტრონული ფოსტა](#);
- [ფაილის გაზიარება](#).

ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის წყარო სათანადოდ უნდა იყოს განსაზღვრული წარმოდგენილ მტკიცებულებებში.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის წარმოდგენის საშუალებები შეიძლება განსხვავდებოდეს და, შესაბამისად, მათი ცალკე-ცალკე განხილვა მოცემულია ქვემოთ.

2.2.1 ვებგვერდები

ინტერნეტში მრავალნაირი ვებგვერდია ხელმისაწვდომი, მაგალითად, კერძო, კორპორატიული, ინსტიტუციური თუ ორგანიზაციების ვებგვერდები. ქვემოთ მოყვანილია სახეობები დიზაინზე ინფორმაციის გახსნის მიზნით კონტენტის შეფასებისას, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით,

- [ელექტრონული კომერციის პლატფორმები](#);
- [ონლაინ მონაცემთა ბაზა](#);
- [სოციალური მედია](#).

2.2.1.1 ელექტრონული კომერციის პლატფორმები

ელექტრონული კომერციის მუდმივი განვითარება ცვლის სავაჭრო ჩვევებს, განსაკუთრებით, საცალო ვაჭრობის სექტორში. არსებული ვებგვერდებიდან ბევრი ეხება ელექტრონული კომერციის ისეთ სხვადასხვა სახეობას, როგორცაა ონლაინ საცალო ვაჭრობა, ონლაინ აუქციონები, ონლაინ ბაზრობები და ონლაინ მარკეტინგი.

ელექტრონულ მაღაზიაში ან ინტერნეტკატალოგით პროდუქტის შეთავაზება, ზოგადად, წარმოდგენს ამ პროდუქტში ჩართულ დიზაინზე ინფორმაციის გახსნას. პრაქტიკაში, დიზაინების უფრო და უფრო მზარდი რაოდენობა ხდება საჯაროდ ხელმისაწვდომი ელექტრონული კომერციის ვებგვერდებზე განთავსებით.

2.2.1.2 ონლაინ მონაცემთა ბაზა

ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, ონლაინ მონაცემთა ბაზები წარმოდგენს ისეთ ბაზებს, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვანია დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შესაფასებლად. ეს მონაცემთა ბაზები შეიძლება ადმინისტრირებული იყოს სახელმწიფო სტრუქტურების ან კერძო დაწესებულებების მიერ.

დიზაინის მონაცემთა ბაზაში გამოქვეყნება, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს

სახელმწიფო სატექტურა, წარმოადგენს დიზაინზე ინფორმაციის გახსნას, რისი უარყოფაც შეუძლებელია, ხელმისაწვდომობაზე გამონაკლისების გათვალისწინებით, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის 2.5 ნაწილში. აღნიშნული მოიცავს, მაგალითად, დიზაინის, სასაქონლო ნიშნის ან გამოგონების ელექტრონულ გამოქვეყნებას, ინტელექტუალური საკუთრების უწყებების მიერ⁸.

მეორეს მხრივ, ინფორმაციის გახსნის შეფასება, რომელიც განხორციელდა კერძო პირების მიერ ადმინისტრირებულ მონაცემთა ბაზაში, არ განსხვავდება ზოგადად ვებგვერდებისთვის გათვალისწინებული შეფასებისგან.

2.2.1.3 სოციალური მედია

ონლაინ მედიამ მნიშვნელოვნად შეცვალა ინფორმაციის შექმნისა და გაზიარების გზები. ინტერნეტში ხელმისაწვდომია მთელი რიგი ონლაინ მედია მომსახურებები. დიზაინზე ინფორმაციის გახსნის მიზნებისთვის, ყველაზე მეტად რელევანტურია ის ონლაინ მედია მომსახურებები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ მედიასთან, კერძოდ კი, სოციალურ ქსელთან, ბლოგებსა და ვლოგებთან.

სოციალურ მედიას ფართოდ იყენებენ დიზაინერები თავიანთი ნამუშევრების გასაზიარებლად, ასევე, ბიზნესმენები ახალი პროდუქტების წარმოსადგენად და ა.შ.

სოციალური მედიის ზოგიერთი ძირითადი თავისებურება ის არის, რომ მისი კონტენტი იქმნება მომხმარებლების მიერ და ინფორმაციის გავრცელება შეიძლება მოხდეს ძალიან სწრაფად და ფართოდ. სხვადასხვა სოციალური მედიის მომსახურებების საშუალებით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შეფასებისას შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ისეთი საკითხები, როგორცაა მისი დანიშნულება ან ხასიათი. უფრო მეტიც, სოციალური მედიის ზოგიერთი მომსახურება იძლევა ისტორიული ინფორმაციის ან კონტენტის მოძიების შესაძლებლობასაც. სხვა შემთხვევაში, კონტენტი შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი მხოლოდ მოკლე დროის განმავლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სახის ვებგვერდების გარდა, ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებული იყოს სხვა ვებგვერდებისთვისაც, რომლებიც არ არის განხილული ამ პრაქტიკაში.

რეკომენდაციები:

- ვებგვერდიდან აღებული მტკიცებულებები წარმოდგენილი უნდა იყოს ამონაბეჭდის მასალის ან შესაბამისი ინფორმაციის სკრინშოტის სახით.
- წარმოდგენილი მტკიცებულებები უნდა ასახავდეს შესაბამისი დიზაინის მკაფიო სურათს, სადაც ნაჩვენებია მისი ნიშნები, ინფორმაციის გახსნის თარიღი და [URL](#) მისამართი.

თუ ინფორმაცია მოპოვებულია ამონაბეჭდის სახით,

- მისი [დაბეჭდვის თარიღი](#) ჩაითვლება დიზაინზე ინფორმაციის გახსნის თარიღად, თუ დოკუმენტის შინაარსიდან ან ნებისმიერი მტკიცებულებიდან არ დადგინდება სხვა

⁸ 16/12/2010, T-513/09, Ornamentación, EU:T:2010:541, § 20; 15/10/2015, T-251/14, Doors (parts of), EU:T:2015:780, § 22

უფრო ადრინდელი თარიღი.

- გარკვეული ვებგვერდებიდან (მაგ., ინტერნეტმაღაზიები, სოციალური მედიის გვერდები) დიზაინზე ინფორმაციის გახსნის მტკიცებულების შეფასებისას, ინფორმაცია კონკრეტული ვებგვერდის მიზნისა და ძირითადი მახასიათებლების შესახებ, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს დიზაინის ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

2.2.2 აპები (აპლიკაციები)

ონლაინსაქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს აპების გამოყენებას (მაგ., საცალო ვაჭრობა, ონლაინაუქციონები, სოციალური ქსელი, სწრაფი შეტყობინებები და ა.შ.). ამიტომ, ეს საშუალება გათვალისწინებული უნდა იყოს დიზაინებზე ინფორმაციის გახსნის შეფასების მიზნებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ვებგვერდს ასევე აქვს [აპის ვერსია](#). ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ვებგვერდის მფლობელებს აქვთ პრაქტიკა, შექმნან თავიანთი ვებგვერდის აპის ვერსია, რაც აადვილებს მობილურ მოწყობილობებზე ხელმისაწვდომობას.

დიზაინზე ინფორმაციის გახსნის თვალსაზრისით, აპებისა და ვებგვერდების მეშვეობით შესაძლებელია ერთნაირი რელევანტური კონტენტის (ე.ი. თარიღის, დიზაინის) მსგავსი ფორმებით წარმოდგენა. აქედან გამომდინარე, მთავარი სხვაობა აპებსა და ვებგვერდებს შორის მდგომარეობს არა თავად კონტენტში, არამედ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენის ხერხებში.

დიზაინზე ინფორმაციის გახსნის დამტკიცება ისეთ აპლიკაციებში, რომლებსაც არ აქვთ ვებგვერდის ვერსია, შეიძლება პრობლემური იყოს, განსაკუთრებით შემდეგი გარემოებების გამო:

- მტკიცებულების მოპოვების სირთულის გამო, რომ დიზაინზე ინფორმაციის გახსნა მოხდა აპლიკაციის საშუალებით, როდესაც ნაჩვენებ ინფორმაცია დროებითია და შეიძლება გარკვეული პერიოდის შემდეგ არ იყოს ხელმისაწვდომი.
- [ვებდაარქივების მომსახურების](#) შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ადადგინოს აპლიკაციებიდან ისტორიული მონაცემები;
- აპებში წარმოდგენილი ინფორმაციის ამონაბეჭდის შექმნის შეზღუდული შესაძლებლობის გამო.

რეკომენდაციები:

- თუ აპებს აქვთ ვებგვერდის ვერსია, რეკომენდებულია ინფორმაციის ამოღება ვებგვერდის ვერსიიდან და არა თვით აპიდან.
- თუ ვებგვერდის ვერსია არ არის ხელმისაწვდომი, მაშინ შესაძლებელია მობილური მოწყობილობის სკრინშოტის გამოყენება მტკიცებულების სახით.
- თუ შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია აპიდან მიღებული სკრინშოტით,

სკრინშოტის გადაღების თარიღი ჩაითვლება ინფორმაციის გახსნის თარიღად, ვიდრე სკრინშოტის კონტენტიდან ან სხვა დამატებითი მტკიცებულებიდან არ დადგინდება უფრო ადრინდელი თარიღი.

- დიზაინზე ინფორმაციის გახსნის მტკიცებულების შეფასებისას, გარკვეული აპებიდან (მაგ., აპები, რომლებიც გამოიყენება საყიდლებისთვის, სოციალური მედიისთვის და ა.შ.), მიღებული ინფორმაცია მოცემული აპის მიზნისა და ძირითადი მახასიათებლების შესახებ, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს დიზაინის ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

2.2.3 ელექტრონული ფოსტა

ელექტრონული ფოსტა (შემდგომში „ელფოსტა“) შეიძლება იყოს ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის კიდევ ერთი წყარო. ტრადიციულად, ელექტრონული ფოსტა განიხილება, როგორც პირადი კორესპონდენცია, თუმცა, ელექტრონული ფოსტა ხშირად გამოიყენება ელექტრონული კომერცისას.

ელფოსტა, რომელიც მიზნად ისახავს პროდუქტის რეკლამირებას, მათ შორის, როდესაც განკუთვნილია პირთა შეზღუდული წრისთვის, არ უნდა ჩაითვალოს, როგორც პირადი კორესპონდენცია. მაგალითად, გარკვეული პროდუქტის მწარმოებლის მიერ შერჩეული საცალო მოვაჭრეებისთვის გაგზავნილი ელფოსტა, რომლითაც მას ბაზარზე განთავსებას სთავაზობს, ჩვეულებრივ, შეიძლება ჩაითვალოს ამ პროდუქტში ჩართულ დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შემთხვევად. ამრიგად, ელექტრონული ფოსტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შეფასებისას გასათვალისწინებელია ელექტრონული ფოსტის შინაარსი და არა მისი ფორმა⁹.

ამასთან, ელფოსტაში შემავალი სტანდარტული მონაცემები შეიძლება ღირებული იყოს დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შესაფასებლად. მაგალითად, „გაგზავნილია“-ს ან „მიღებულია“-ს თარიღით შესაძლებელია დადგინდეს, თუ როდის მოხდა ინფორმაციის გახსნა, მიმღების მისამართებით კი შეიძლება დადგინდეს, იყო თუ არა კომუნიკაცია განკუთვნილი სპეციალიზებული წრეების წარმომადგენლებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ელფოსტა ჩვეულებრივ შეიცავს კონფიდენციალურობის დაცვის პირობებს. ამასთან, მათი ეფექტურობა სიფრთხილით უნდა შეფასდეს. მაგალითად, შინაარსმა, მიმღებებმა და ელექტრონული ფოსტის მიზანმა შეიძლება გავლენა მოახდინონ ასეთი პირობის უტყუარობაზე (ქვემოთ იხ. ნაწილი 2.5.5).

რეკომენდაციები:

- შესაძლებლობის შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციის მტკიცებულებით ნაჩვენები უნდა იყოს დიზაინის გრაფიკული გამოსახულება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მას შეიცავდა გაგზავნილი დანართი.
- მკაფიოდ უნდა მიეთითოს ინფორმაციის გახსნის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი თარიღი, კერძოდ, როდესაც ელფოსტა შეიცავს რამდენიმე თარიღს.

გათვალისწინებულ უნდა იქნას ელექტრონული ფოსტის კომუნიკაციის მიმღები და მისი

⁹ 27/02/2018, T-166/15, Cases for mobile phones, EU:T:2018:100, § 93

დანიშნულება, რადგან ის შეიძლება შეიცავდეს მითითებას იმის შესახებ, იყო თუ არა ის განკუთვნილი მოცემულ სექტორში სპეციალიზებული წრეებისთვის. *იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიმღებთა სია დაფარულია, ელფოსტის შინაარსმა მაინც შესაძლოა გარკვეულად ხელი შეუწყოს იმის გარკვევას, განკუთვნილი იყო ელფოსტა კერძო კომუნიკაციისთვის, თუ რეალურად გამიზნული იყო უფრო ფართო აუდიტორიაზე.*¹⁰

- ელექტრონულ ფოსტაში მოცემული კონფიდენციალურობის პირობის სანდოობა უნდა შეფასდეს ელფოსტის შინაარსის, მიმღებთა და მისი მიზნის გათვალისწინებით.

2.2.4 ფაილის გაზიარება

ისეთი დოკუმენტის შედგენა, რომელიც შეიცავს დიზაინს და რომელიც ხელმისაწვდომია [ფაილის გაზიარების](#) სისტემით, ზოგადად, წარმოადგენს ინფორმაციის გახსნის ფაქტს.

წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, დოკუმენტის გაზიარების ორი ყველაზე გავრცელებული მომსახურება იქნა გათვალისწინებული, კერძოდ, [ერთრანგოვანი ქსელი \(P2P\)](#) და [ფაილის ჰოსტინგი](#).

ეს მომსახურებები მსგავსია იმით, რომ ორივე შემთხვევაში, ხელმისაწვდომი დოკუმენტები ჩამოთვლილი იქნება გაზიარების პლატფორმაზე და მათი ჰიპერბმულების საშუალებით, მომხმარებლებს შეეძლება მათი ჩამოტვირთვა.

მათ შორის ძირითადი სხვაობა პრინციპულად ტექნიკური ხასიათისაა. P2P დოკუმენტის გაზიარების შემთხვევაში, დოკუმენტების გადმოწერა ხდება პირდაპირ ერთი მომხმარებლის კომპიუტერიდან მეორეზე, ხოლო დოკუმენტის ჰოსტინგისას, ეს დოკუმენტები ჯერ უნდა აიტვირთოს გაზიარების პლატფორმაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ რომელიმე ზემოხსენებული სისტემის მეშვეობით გაზიარებული დოკუმენტების შინაარსი ჩვეულებრივი მომხმარებლებისთვის არ იქნება ხილული, ვიდრე დოკუმენტები არ ჩამოიტვირთება და გაიხსნება. ამასთანავე, დოკუმენტის გაზიარების სისტემით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შეფასებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ორი მთავარი საკითხი:

- კავშირის დადგენა დიზაინის შემცველი დოკუმენტის შინაარსსა და დოკუმენტის გაზიარების სისტემაში არსებული დოკუმენტის მითითებას შორის;
- შესაბამისი თარიღის დადგენა.

დოკუმენტის გაზიარებით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის მტკიცებისას, პლატფორმიდან ინდექსირებული დოკუმენტის მხოლოდ ამონაბეჭდის წარდგენა არ იქნება საკმარისი. საჭირო იქნება დოკუმენტის ინდექსსა და მის შინაარსს შორის კავშირის დადგენა.

მტკიცებულებებში ასევე მითითებული უნდა იქნას ინფორმაციის გახსნის თარიღი. ზოგადად, თარიღი, როდესაც დოკუმენტი ხელმისაწვდომი გახდა გასაზიარებლად, ჩაითვლება ინფორმაციის გახსნის თარიღად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურებულია, რომ ამ ჰიპერბმულის გამოყენებით არცერთი დოკუმენტი გადმოწერილი არ არის. იმ შემთხვევაში, თუ არ არის მითითებული დოკუმენტის ხელმისაწვდომობის თარიღი,

¹⁰ 27/02/2018, T-166/15, Cases for mobile phones, EU:T:2018:100, § 93

შესაბამის თარიღად ჩაითვლება მისი რეალური გადმოწერის თარიღი.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ დოკუმენტის გაზიარების გარკვეულ სისტემებში წვდომა შეზღუდულია პაროლით ან ფასიანია, პრინციპში, ეს არ უშლის ხელს დიზაინზე ინფორმაციის გახსნის დადგენას (ქვემოთ იხ. ნაწილი 2.5.1).

რეკომენდაციები:

- ფაილის გაზიარებით ინფორმაციის გახსნის მტკიცებისას, წარდგენილ უნდა იქნას ნებისმიერი ხელმისაწვდომი დამატებითი მტკიცებულება, როგორცაა ახალი მასალის ატვირთვის შესახებ მომხმარებლების ელფოსტით ინფორმირება და ა.შ.
- თუ ფაილის პლატფორმაზე ატვირთვის თარიღი არ არის ხელმისაწვდომი, შესაბამისი თარიღი შეიძლება დადასტურდეს იმ თარიღის ჩვენებით, როდესაც ფაილი ფაქტობრივად იქნა გადმოწერილი მომხმარებლის მიერ.
- დოკუმენტის შინაარსსა და პლატფორმაზე მისი ინდექსაციის ცნობას შორის კავშირის დასადასტურებლად, შეიძლება გამოყენებულ იქნას კომპიუტერით გენერირებული დროის აღნიშვნის (ქვემოთ იხ. ნაწილი 2.3.2) ან საჯარო სანოტარო მომსახურებები.

2.3 ინფორმაციის გახსნის შესაბამისი თარიღის დადგენა

დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შესაფასებლად, კიდევ ერთი აუცილებელი კრიტერიუმია ინფორმაციის გახსნის თარიღის დადგენა. ეს არის თარიღი, როდესაც დიზაინი გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი.

წინა განყოფილება, ინტერნეტით ინფორმაციის გახსნის გავრცელების წყაროების შესახებ, ეხება იმ საკითხებს, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას იმ თითოეული კონკრეტული წყაროდან შესაბამისი თარიღის დადგენისას, სადაც შეიძლება მოხდეს ინფორმაციის გახსნა. ამ ნაწილში კი მოცემულია არასრული ჩამონათვალი იმ *ინსტრუმენტებისა*, რომლებიც ხელს შეუწყობს ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის თარიღის დადგენას.


2.3.1 სამიზნო სისტემებისა და ვებგვერდების დაარქივების მომსახურებების მიერ უზრუნველყოფილი თარიღები

ინფორმაციის გახსნის თარიღის დადგენა შესაძლებელია შესაბამისი მონაცემების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფილია [სამიზნო სისტემების](#) მიერ და ვებგვერდების დაარქივების მომსახურებით.

სამიზნო სისტემები მომხმარებლებს საშუალებას აძლევს გარკვეული დროის მონაკვეთში მოიძიონ ინფორმაცია (ქვემოთ იხ. პირველი მაგალითის „A“ ნაწილი)¹¹. მიღებულმა შედეგებმა შეიძლება წარმოადგინონ წინასწარი მითითება, თუ როდის იყო შესაბამისი შინაარსი ხელმისაწვდომი ინტერნეტით. თუმცა, ინფორმაციის გახსნის დასადასტურებლად, შესაბამისი თარიღი დამატებითი ინფორმაციით უნდა დადასტურდეს, საუკეთესო


¹¹ ზოგიერთი სამიზნო სისტემა დროებით ინახავს ინფორმაციას ან *არეზერვებს ვებგვერდებს*. ეს კეთდება პროგრამის საშუალებით, რომელსაც ეწოდება „ვებრობოტი“, რომელიც ასკანირებს ინტერნეტს, ნახულობს ყველა ვებგვერდს და კატალოგში ინახავს ინფორმაციას (მაგალითად, საიტის გამოქვეყნების ან შექმნის თარიღს ან მის შინაარსს) ამ ვებგვერდების შესახებ.

შემთხვევაში კი, იმ თარიღებით, რომლებსაც შეიცავს ძიების შედეგებში ჩამოთვლილი კონკრეტული ვებგვერდების შინაარსი.




მაგალითი 1

ქვემოთ მოცემული შეზღუდვების გამო, საძიებო სისტემებთან დაკავშირებით სიფრთხილეა საჭირო. ჯერ ერთი, გარკვეული დროის მონაკვეთში ძიებისას (იხ. მე-2 მაგალითში მოცემული „A“ ნაწილი) მიღებული თარიღი შეიძლება სულაც არ იყოს შესაბამისი შინაარსის გამოქვეყნების თარიღი (იხ. მე-2 მაგალითში მოცემული „C“ ნაწილი), არამედ, იყოს ინსტრუმენტით ქეშირების ან კონკრეტული ვებგვერდის დარეგისტრირების თარიღი (იხ. მე-2 მაგალითის „B“ ნაწილი). და მეორეც, ვებგვერდის შინაარსი, სადაც მოცემულია დიზაინი, შეიძლება უკავშირდებოდეს არა იმ თარიღს, როდესაც ნაჩვენებია იყო დიზაინი, არამედ ამ ვებგვერდის უახლეს ვერსიას.



სურათის შემცველ შესაბამის ვებგვერდზე შესვლისას აღმოაჩენთ, რომ გამოსახულებაზე ინფორმაციის გახსნის თარიღია 2016 წლის 23 მარტი.





მაგალითი 2

ვებგვერდის დაარქივების მომსახურებები (როგორცაა: „[WayBack-ის მანქანა](#)“) შეიძლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყოს ინფორმაციის გახსნის თარიღის დასადასტურებლად.

მათი საშუალებით ხელმისაწვდომია დაარქივებული ვებგვერდები ან მათი ნაწილები, იმ სახით, როგორც ჩანდნენ დროის გარკვეულ პერიოდში („შეგროვება“) (იხ. ქვემოთ მე-3 მაგალითის „A“ ნაწილი). უფრო მეტიც, ვებგვერდების არქივებში შესაძლებელია მათი დათვალიერება და ნავიგაცია.

მიუხედავად ამისა, ვებგვერდების საარქივო მომსახურებიდან მიღებული მტკიცებულებების შეფასებისას, გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები:

- ვებგვერდის შინაარსზე შეზღუდული წვდომა. მაგალითად, შეიძლება არ იყოს შესაძლებელი პაროლით დაცული შინაარსის დაარქივება, ასევე, ვებგვერდების მფლობელებს შეუძლიათ დაბლოკონ საარქივო სისტემები მის შინაარსზე წვდომისგან (ე.ი. [რობოტის გამორთვა](#));
- შინაარსის ამოღება (წაშლა). ვებგვერდის მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ დაარქივებული შინაარსის ამოღება;
- არარეგულარული განახლება. ვებგვერდები არქივდება არა ყოველთვის, როცა განახლდება ან იცვლება, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა [ვებრობოტი](#) ნახულობს მათ. თავის მხრივ, ეს დამოკიდებულია ვებგვერდის პოპულარობაზე.



A



მაგალითი 3

რეკომენდაციები:

- დიზაინზე ინფორმაციის გახსნის დადასტურების მიზნით, რეკომენდებულია საძიებო სისტემის მომსახურებების ნაცვლად, ვებგვერდის დაარქივების მომსახურებების გამოყენება.

- მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ დაარქივებულ ვებგვერდებზე გადაადგილებისას, ამ ვებგვერდის ცალკეული ნაწილები შეიძლება სხვადასხვა თარიღს უკავშირდებოდეს.

2.3.2 კომპიუტერის მიერ გენერირებული ინფორმაცია დროის აღნიშვნის შესახებ

ელექტრონული დროის აღნიშვნა დოკუმენტს, შეტყობინებას, ტრანზაქციას, გამოსახულებას და ა.შ. უთითებს ზუსტ დროს, რაც ამტკიცებს რომ შინაარსი არსებობდა დროის გარკვეულ მომენტში.

ხელმისაწვდომია დროის აღნიშვნის სხვადასხვა მომსახურებები. მაგალითად, ზოგიერთი მათგანი სსიპ ციფრული მართვის სააგენტოს მიერ აღიარებულია, რომ ის აკმაყოფილებს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ასეთი მომსახურებების მომწოდებლებს შეუძლიათ გამოიყენონ კვალიფიციური ელექტრონული დროის აღნიშვნა. საქართველოში დროის აღნიშვნის კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლების სიას აწარმოებს სსიპ ციფრული მართვის სააგენტო.

დროის აღნიშვნით, შესაძლებელია ამონაბეჭდით ან სკრინშოტით წარმოდგენილი შინაარსის დაცვა (ქვემოთ იხ. მე-4 და მე-5 მაგალითების „A“ ნაწილი) მისი მოგვიანებით შეცვლის ან თავდაპირველი წყაროდან ამოღებისგან. გარდა ამისა, ამ ტიპის მტკიცებულება არ ექვემდებარება რაიმე ტერიტორიულ შეზღუდვას.

თუ კონკრეტული ვებგვერდისთვის მოითხოვება დროის აღნიშვნა, დროის აღნიშვნის მომსახურების გამწვევის მიერ გაიცემა სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს შინაარსს დროის აღნიშვნით. როგორცაა URL მისამართი და თარიღი, რომლებიც დაკავშირებულია დროის აღნიშვნის მომენტში ამ ვებგვერდთან (ქვემოთ იხ. მე-5 მაგალითის „A“ ნაწილი და მე-6 მაგალითის „A“ და „B“ ნაწილები).

დროის აღნიშვნა შეიძლება ჰქონდეთ როგორც სტატიკურ ვებგვერდებს, ისე ძიების სესიებს.

ზოგადად, სტატიკური ვებგვერდების დროის აღნიშვნისას, დროის აღნიშვნის სამსახურის მიერ გაიცემა ციფრული სერტიფიკატი, რის შედეგადაც კონკრეტულ URL-ზე გარკვეულ მომენტში ხილვადი ხდება კონტენტი, ზუსტი თარიღისა და დროის მითითებით. ამ ტიპის დროის აღნიშვნა უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ წარმოდგენილი ეკრანის კადრი არ შეცვლილა, ვინაიდან სერტიფიკატი, რომელიც ციფრულად არის ხელმოწერილი და დათარიღებული, შეიცავს URL-ითა და HTML-ის კოდით მოწოდებულ ვიზუალურ ინფორმაციას, როგორც სერტიფიკატის დანართს.

A

Amazon.es: Opiniones de clientes

https://www.amazon.es/Artemide-Eclisse-Blanca-Lámpara-de-Mesa/product-reviews/B000Q6QWSI/ref=dpx_acr_txt?showViewpoints=1

Todos los departamentos

Enviar a Sergio Alicante E-03003

Todos los departamentos

Volver a comprar

Amazon.es de Sergio

Ofertas

Nuevo: Chollos

Cheques regalo

Vender

Ayuda

Amazon.es

Los más vendidos

Ofertas

Productos Reacondicionados

Lista de deseos

Cheques regalo

Amazon Prime

Apps de Amazon

Vender en Amazon

Artemide Eclisse Blanca Lámpara de Mesa > Opiniones de clientes

Opiniones de clientes

★★★★☆ 3
3,7 de 5 estrellas

5 estrellas 67%
4 estrellas 0%
3 estrellas 0%
2 estrellas 33%
1 estrella 0%

Artemide Eclisse Blanca Lámpara de Mesa
por Artemide
Color: Blanco | Cambiar
Precio: 112,90 €

Escribir una opinión

Buscar opiniones de clientes

ORDENAR POR: Mejor valorado

FILTRAR POR: Todos los autores de opiniones, Todas las estrellas, Todos los formatos, Texto, imagen, vídeo


Mostrando 1-3 de 3 opiniones

isabel
★★★★★ **Un clásico**
13 de febrero de 2018
Color: Blanco | **Compra verificada**
Un clásico, es justo lo que esperaba de esta maravillosa lámpara de mesa. No tengo ni ninguna duda en recomendarla.
A una persona le ha parecido esto útil

Útil | Comentar | Informar de un abuso

Thischarmingman
★★★★★ **preciosa lámpara**
23 de diciembre de 2018
Color: Rojo | **Compra verificada**
Perfecta para el espacio que le tenía destinado, da una luz preciosa y con un diseño que me encanta.

სტატისტიკური ვებგვერდის დროის აღნიშვნა: სერტიფიკატი



This is the information provided by the address https://www.amazon.es/Artemide-Eclipse-Blanca-L/C3%AFmpara-Mesa/product-reviews/B00OQ6QWSI/ref=dpx_acr_txt?showViewpoints=1, responding from IP address 216.137.57.191, when queried on Mar 15, 2019 6:32:25 PM (UTC) from the IP address 54.247.116.13.


The page source code (ref=dpx_acr_txt) has been included as attachment to this document.

User agent used on the query: Mozilla/5.0 (X11; Linux x86_64) AppleWebKit/537.36 (KHTML, like Gecko) Chrome/59.0.3071.86 Safari/537.36

This query has been performed by www.certification.com service from [redacted] Ltd. which records and digitally signs its result in this PDF document on Mar 15, 2019 6:32:25 PM (UTC)

System of web content certification developed by [redacted]. Patented and released to allow its open use. Patent number: [redacted]

A




Signed by [redacted] S.L. On date: Mar 15, 2019 6:32:25 PM UTC
 This document has been stored at [redacted] with verification code 1603154D
 and can be validated at the following address <https://www.certification.com/bof>
 Page 1 of 2


მაგალითი 5

ძიების სესიების დროს აღნიშვნა (ან „დინამიკური ვებგვერდები“), მომხმარებლებს საშუალებას აძლევს მონიშნონ დრო სკრინშოტზე ან ჩაწერონ ვებგვერდზე შესვლის ვიდეო, რომელიც დამოწმებულია, ხელმოწერილია და შესაბამისი დროით აღნიშნული სერტიფიკატით, რომელიც შეიცავს სესიის დროს გადაღებული ვიდეოს შესახებ ინფორმაციას და სკრინშოტს (ქვემოთ იხ. მე-6 მაგალითის „A“ და „B“ ნაწილები).

ძიების სესიის დროს აღნიშვნა



A



B

მაგალითი 6

რეკომენდაციები:

- დიზაინებზე ინფორმაციის გახსნის მტკიცებულების დასაცავად, დროის აღნიშვნა შეიძლება გამოყენებულ იქნას პრევენციული ღონისძიების სახით.
- თუ დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შესახებ მტკიცებულებების მოსაპოვებლად საჭიროა რამდენიმე მოქმედება, ინტერნეტით მოძიების მთლიან სესიას შესაძლოა მიეთითოს დრო.

2.3.3 სასამართლო ექსპერტიზის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტები

სასამართლო ექსპერტიზის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტები გამოიყენება ციფრული და კომპიუტერის მიერ გენერირებული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. ზოგიერთი გამიზნულია არა ექსპერტი მომხმარებლებებისათვის და თავისუფლად ხელმისაწვდომია ინტერნეტში.

ამ ინსტრუმენტების გამოყენება შეიძლება შესაბამისი თარიღის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, რომელიც შესაძლოა მითითებული იყოს ვებგვერდის შესაქმნელად გამოყენებულ სურათებში, ვიდეოებსა თუ პროგრამებში (ე.ი. მეტამონაცემები). ამ მონაცემების გამოყენება შეიძლება ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის დასადასტურებლად (ქვემოთ იხ. ნაწილი 2.4.3).

სასამართლო ექსპერტიზის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტები, ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს სოციალური მედიით განცხადებებისა და სურათების შეგროვების მონიტორინგისთვის.

რეკომენდაციები:

- ექსპერტიზის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტების გამოყენებით მოპოვებული მტკიცებულებების წარდგენისას, უნდა წარედგინოს ინფორმაცია ინსტრუმენტების გამოყენებისა და ინფორმაციის მოპოვების შესახებ, ასევე, რა სახის ინფორმაცია და რომელი კონტენტიდან იყო ამოღებული.

2.4 ინტერნეტით მოპოვებული მტკიცებულების წარდგენის საშუალებები

„დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს რაიმე სპეციფიკურ ფორმას, რომლითაც უნდა იქნას წარდგენილი მტკიცებულება დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შესახებ. შესაბამისად, ზოგადად შესაძლებელია ნებისმიერი მტკიცებულების წარდგენა, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს დიზაინზე ინფორმაციის გახსნის ფაქტს.

დიზაინზე ინფორმაციის გახსნის ფაქტის დადგენა შესაძლებელია სხვადასხვა სახის მტკიცებულებების წარდგენით. მაშინაც კი, თუ ზოგიერთი მტკიცებულება არ არის ინფორმაციის გახსნის ფაქტის დამადასტურებელი, მათ, სხვა მტკიცებულებების ერთობლიობაში განხილვისას, შესაძლოა ხელი შეუწყონ დიზაინზე ინფორმაციის გახსნის ფაქტის დადგენას¹².

ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის დამადასტურებელი მტკიცებულება, შეიძლება წარედგინოს სხვა მტკიცებულებებთან ერთად (ინფორმაციის წყაროს მიუხედავად),

¹² 09/03/2012, T-450/08, Phials, EU:T:2012:117, § 25, 30-45

რადგან ინფორმაციის გახსნის ფაქტი უნდა შეფასდეს ყველა წარმოდგენილი მტკიცებულების გათვალისწინებით.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ დიზაინზე ინფორმაციის გახსნის ფაქტი ვერ დადგინდება დაშვების ან ვარაუდის საფუძველზე, იგი წარმოდგენილ უნდა იქნას მყარი და ობიექტური მტკიცებულებით, რომელიც ეფექტურად და საკმარისად დაადასტურებს დიზაინზე ინფორმაციის გახსნას.¹³

გარდა ამისა, კონკრეტულ დიზაინზე ინფორმაციის გახსნის ფაქტის დასადგენად, ყველა მტკიცებულება უნდა ეხებოდეს ერთი და იმავე წინმსწრებ დიზაინს. სხვადასხვა ნიშნები, რომელზეც მოხდა ინფორმაციის გახსნა სხვადასხვა მტკიცებულებებში და ეხება სხვადასხვა დიზაინს, არ შეიძლება გაერთიანდეს ერთი დიზაინზე ინფორმაციის გახსნის მიზნით¹⁴.

ივარაუდება, რომ წარდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს ერთიანი. შესაბამისი ინფორმაციით მანიპულირების შესაძლებლობა არ არის საკმარისი აღნიშნული დოკუმენტების მამტკიცებელი ხასიათის ეჭვქვეშ დასაყენებლად. შესაბამისად, წარდგენილი მტკიცებულებები უარყოფილი იქნება მხოლოდ საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში¹⁵.

რეკომენდაციები:

- *ინტერნეტით მოპოვებულ მტკიცებულებებში გარკვევით უნდა იქნას მითითებული დიზაინზე ინფორმაციის გახსნის წყარო და საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულთან დაკავშირებით, წარედგინოს დამატებითი ინფორმაცია.*
- *გარდა ამისა, მტკიცებულებები უნდა იყოს ისეთი ხარისხის, რომ შესაძლებელი იყოს იმ დიზაინის ნიშნების განსაზღვრა, რომელზეც მოხდა ინფორმაციის გახსნა და ინფორმაციის გახსნის თარიღის დადგენა.*

2.4.1 ამონაბეჭდი და სკრინშოტი

ამონაბეჭდი და სკრინშოტი ყველაზე ხშირად გამოიყენება ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის დასამტკიცებლად. ისინი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, როგორცაა:

- წყარო, საიდანაც შინაარსი იყო ამოღებული (მაგ. URL მისამართი);
- შესაბამისი თარიღი;
- დიზაინი, რომელზეც მოხდა ინფორმაციის გახსნა.

ამონაბეჭდი და სკრინშოტი არ უნდა შეიცვალოს ხელით, მაგალითად, ინფორმაციის გახსნის თარიღის ან წყაროს დამატებით.

რეკომენდაციები:

- *როდესაც ამონაბეჭდი და სკრინშოტი არ შეიცავს ყველა შესაბამის ინფორმაციას,*

¹³ 09/03/2012, T-450/08, Phials, EU:T:2012:117, § 24

¹⁴ 21/09/2017, C-361/15 P and C-405/15 P, Shower drainage channel, EU:C:2017:720, § 69; 19/06/2014, C-345/13, Karen Millen Fashions, EU:C:2014:2013, § 35

¹⁵ 27/02/2018, T-166/15, Cases for mobile phones, EU:T:2018:100, § 64, 90

სასურველია დამატებით მტკიცებულებათა წარდგენა გამოტოვებული ელემენტების წარდგენით (მაგალითად, თუ შესაბამის პოსტს, რომელიც შეიცავს დიზაინის გამოსახულებას, აკლია თარიღი, სოციალურ მედიაში გაკეთებული კომენტარები, შენიშვნები ან გაზიარებები, ან კატალოგები გამოქვეყნებული, კომერციულ ან საცალო ვაჭრობის გვერდებზე, შესაძლოა უზრუნველყოფდეს ასეთ ინფორმაციას).

- როდესაც ამონაბეჭდი ან სკრინშოტი ჩასმულია წარსადგენ ტექსტში და თვალსაჩინოებისთვის შეიცავს დამატებებს, მაგალითად, შესაბამისი ელემენტების ხაზგასმას ან მითითებას (ქვემოთ იხ. მაგალითი 7), სასურველია წარდგენილ იქნას ამონაბეჭდის ან სკრინშოტის უცვლელი ვერსია, როგორც ცალკე დოკუმენტი.

წყარო:

ინფორმაციის გახსნის კონკრეტული წყარო (მაგ., URL მისამართი) შეიძლება ყოველთვის (სრულად) არ იყოს ცხადი გარკვეული ვებგვერდების ან აპების ამონაბეჭდიდან ან სკრინშოტიდან.

რეკომენდაციები:

იმ შემთხვევაში, თუ წყარო სრულად არ არის მითითებული ამონაბეჭდში ან სკრინშოტში, უმჯობესია წარდგენილ იქნას დამატებითი მტკიცებულებები.

შესაბამისი თარიღი:

ამონაბეჭდთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განვასხვავოთ დოკუმენტის ბეჭდვის თარიღი (ბეჭდური ვერსია) და დიზაინზე ინფორმაციის გახსნის თარიღი. დაბეჭდვის თარიღი (იხ. მე-7 მაგალითის „A“ ნაწილი) ჩაითვლება ინფორმაციის გახსნის თარიღად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ URL მისამართიდან ან თავად დოკუმენტის შინაარსიდან დადგინდება უფრო ადრინდელი თარიღი (მაგ. „ხელმისაწვდომია...-დან“, „ბოლოს შეიცვალა...-ში“) ან ნებისმიერი სხვა მტკიცებულება (იხ. „B“ მაგალითში).

12/14/2018 **A** Red Shoes - Shoes for Men and for Women

Red Shoes
Unique Identification Number (UIN):
S-123456
85,00 €
Color: Red

Quantity: 1
Size: 38

ADD TO CART

Available since March 2017 + **B**

RETURN & REFUND POLICY +

SHIPPING INFO +

მაგალითი 7¹⁶

უნდა აღინიშნოს, რომ წელი, რომელიც დაკავშირებულია საავტორო უფლებებთან და ჩვეულებრივ ვებგვერდის ქვედა ნაწილშია მითითებული, არ იქნება საკმარისი ინფორმაციის გახსნის თარიღის დასადგენად.

ამონაბეჭდი ან სკრინშოტი შეიძლება ასევე შეიცავდეს მისი შექმნის თარიღს, რაც დამოკიდებულია კომპიუტერის ტიპზე და/ან გამოყენებულ მოწყობილობაზე (იხ. ნაწილი 2.4.2). ეს თარიღი შეიძლება შეესაბამებოდეს ინფორმაციის გახსნას.

რეკომენდაციები:

- როდესაც ამონაბეჭდში ან სკრინშოტში მითითებულია რამდენიმე თარიღი, სასურველია გარკვევით მიეთითოს, თუ რომელია შესაბამისი თარიღი.

დიზაინი, რომელზეც მოხდა ინფორმაციის გახსნა:


ამონაბეჭდი ან სკრინშოტი შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე დიზაინს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ინტერნეტძიების შედეგია, ან თუ საცალო ვაჭრობის ვებგვერდის ბეჭდური ვერსია, ან სკრინშოტია.

თუ ამონაბეჭდში ან სკრინშოტში მოცემულია რამდენიმე პროდუქტის დიზაინი,

¹⁶ ამ ამონაბეჭდის დასაწყისში მითითებულია დაბეჭდვის თარიღი (იხ. მე-7 მაგალითის „A“ ნაწილი), ხოლო სხვა თარიღი ნაჩვენებია დოკუმენტის კონკრეტულ შინაარსში, ე.ი. 2017 წლის მარტი (იხ. მე-7 მაგალითის „B“ ნაწილი) ვინაიდან ეს უფრო ადრინდელია, დოკუმენტის შინაარსში მითითებული თარიღი ჩაითვლება დიზაინზე ინფორმაციის გახსნის თარიღად.

გარკვევით უნდა მიეთითოს, თუ რომელია შესაბამისი დიზაინი (იხ. მე-8 მაგალითის „A“ ნაწილი).

დიზაინის გამოსახულებები, რომლებზეც მოხდა ინფორმაციის გახსნა, უნდა იყოს მკაფიო და სათანადო ხარისხის, რომ მოხდეს მისი ნიშნების განსაზღვრა¹⁷.



მაგალითი 8

რეკომენდაციები:

- თუ დიზაინზე ინფორმაციის გახსნა მოხდა რამდენჯერმე, მაშინ რეკომენდებულია იმდენი ამონაბეჭდის და სკრინშოტის წარდგენა (ასევე, უფრო პატარა პროექციების გადიდება), რამდენიც საჭიროა დიზაინის სრულად წარმოსადგენად.
- თუ ამონაბეჭდში ან სკრინშოტში წარმოდგენილია რამდენიმე დიზაინი, მაშინ სასურველია დიზაინის გამოსახულების გადიდება. გარდა ამისა, გარკვევით უნდა მიეთითოს, თუ რომელია შესაბამისი დიზაინი.
- როდესაც ამონაბეჭდი ან სკრინშოტი თვალსაჩინოებისთვის შეიცავს დამატებებს (მაგ., ხაზგასმა, ისრები ან საზღვრები), უმჯობესია დოკუმენტის უცვლელი ვერსიის წარდგენა ცალკე დანართის სახით.


2.4.1.1 ამონაბეჭდები და სკრინშოტები ელექტრონული კომერციის პლატფორმებიდან

ელექტრონული კომერციის პლატფორმებზე ძალიან ხშირად არის მითითებული თარიღი, როდესაც კონკრეტული პროდუქტი პირველად იყო გასაყიდად ხელმისაწვდომი (იხ. მე-9 მაგალითის „A“ ნაწილი). ამონაბეჭდში ან სკრინშოტში შემავალი ინფორმაცია შეიძლება

¹⁷ 21/09/2017, C-361/15 P and C-405/15 P, Shower drainage channel, EU:C:2017:720, § 65.

მნიშვნელოვანი იყოს დიზაინზე ინფორმაციის გახსნის თარიღის დასადგენად, რომელიც ჩართულია ამ პროდუქტში.

უფრო მეტიც, პროდუქტზე კონკრეტული მითითება, მაგ., დასახელება ან კოდი, შეიძლება სასარგებლო იყოს ამ პროდუქტთან იმ ინფორმაციის დასაკავშირებლად (მაგ., პირველი გაყიდვის თარიღი), რომელსაც შეიცავს სხვა მტკიცებულება (იხ. მე-9 მაგალითის "B" ნაწილი).



მაგალითი 9

ინფორმაციის გახსნის მტკიცებულებას ელექტრონული კომერციის პლატფორმებიდან, თუნდაც დიზაინის გრაფიკული გამოსახულების არარსებობისას, შეიძლება ჰქონდეს დამამტკიცებელი ღირებულება, იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი პროდუქტის საიდენტიფიკაციო უნიკალური კოდი შეიძლება დაკავშირებული იყოს კონკრეტულ დიზაინთან¹⁸.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ელექტრონული კომერციული პლატფორმა შეიძლება შეიცავდეს იგივე „...დან ხელმისაწვდომ“ თარიღს და თუნდაც განსხვავებული დიზაინის მქონე იმავე პროდუქტის ახალი ვერსიის საცნობარო ნომერს.

რეკომენდაციები:

- სასურველია ელექტრონული კომერციის პლატფორმაზე შეტანილ იქნას მომხმარებელთა მიერ პროდუქტის შემენის შემდეგ დატოვებული მიმოხილვები, რადგან ეს ინფორმაცია შეიძლება სასარგებლო იყოს დიზაინზე ინფორმაციის გახსნის თარიღის დასადგენად.
- შესაბამისი პროდუქტის საიდენტიფიკაციო უნიკალური კოდი შეიძლება აკავშირებდეს ელექტრონული კომერციის პლატფორმაზე განთავსებულ

¹⁸ 27/02/2018, T-166/15, Cases for mobile phones, EU:T:2018:100, § 59-63

ინფორმაციას (მაგ., დიზაინი) და სხვა მტკიცებულებას (მაგ., გაყიდვის თარიღი).

2.4.1.2 ამონაბეჭდი და სკრინშოტი ონლაინმონაცემთა ბაზებიდან

ინფორმაციის გახსნის დადგენის მიზნით, ონლაინ მონაცემთა ბაზების ამონაბეჭდში და სკრინშოტში აღნიშნული გამოქვეყნების თარიღი ჩაითვლება შესაბამის თარიღად (იხ. ნაწილი 2.2.1.2).

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევებში, ონლაინ მონაცემთა ბაზაში აღნიშნული განაცხადის შეტანის ან რეგისტრაციის თარიღი არ ნიშნავს, რომ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი, რომელიც ჩართულია შესაბამის დიზაინში, გამოქვეყნებულია (იხ. მე-10 მაგალითის „A“ და „C“ ნაწილები).

The image shows two overlapping screenshots from the WIPO Global Design Database and DesignView. The top screenshot is the WIPO Global Design Database page for EP 1 404 041 A1. The bottom screenshot is the DesignView page for the same application.

WIPO Global Design Database Screenshot:

- Header: WIPO WORLD INTELLECTUAL PROPERTY ORGANIZATION
- Navigation: Home, Knowledge, Global Design Database
- Title: Global Design Database
- Description: A world-wide collection of industrial designs data; including WIPO Hague registrations and information from participating national offices.
- Item: 201930021153.8 - 玩具变形车
- Status: ACT
- (19) Identification, using the two CN
- (11) National Registration Number: 305038032
- (15) Date of the national registration: 2019-02-15
- (21) Application number: 201930021153.8
- (22) Filing date: 2019-01-15
- (45) Date of publication of the registration: 2019-02-15
- (51) Class and subclass of the IPC: 21-01

DesignView Screenshot:

- Header: Europäisches Patentamt, European Patent Office, Office européen des brevets
- Barcode and Application Number: (11) EP 1 404 041 A1
- (12) EUROPEAN PATENT APPLICATION
- (43) Date of publication: 31.03.2004 Bulletin 2004/14
- (51) Int Cl.7: H04B 17/00
- (21) Application number: 02256678.0
- (22) Date of filing: 25.09.2002
- (84) Designated Contracting States: ...
- (79) Inventors: ...
- Search: Find term, Search by Indication of the Product / Application number / Design number.
- List of results: EM 001534215-0001
- Design details:
 - (19) Registration office code: EM
 - Design number: 001534215-0001
 - (21) Application number: 001534215
 - (25) Application language code: cs
 - Second language code: en
 - (22) Application date: 03-06-2009
 - (43)/(44) Application published: 08-07-2009
 - Application reference: 200737202
 - (11) Registration number: 001534215-0001
 - (15) Registration date: 03-06-2009
 - Publication date: 08-07-2009
 - (57) Design description: Yes
 - (46) End of deferment: Not to be renewed
 - Renewal current status code: Not to be renewed
 - (18) Expiry date: 03-06-2014

მაგალითი 10

ზოგადად, საჯარო უწყებების მიერ ადმინისტრირებულ ონლაინ მონაცემთა ბაზებში დიზაინის გამოქვეყნება განიხილება, როგორც დიზაინზე ინფორმაციის გახსნა აღნიშნული გამოქვეყნების თარიღიდან, თუ უფრო ადრინდელი დათარიღების მტკიცებულება არ არის წარდგენილი. თუმცა, შესაბამისი თარიღი შეიძლება განსხვავებული იყოს, თუ ინფორმაციის გახსნა მოხდა კერძო ონლაინ მონაცემთა ბაზაში, რადგან ინფორმაციის ატვირთვის ან მასში განთავსების თარიღი აუცილებელი არ არის, რომ ემთხვეოდეს ინფორმაციის ოფიციალურ რეესტრში გამოქვეყნების თარიღს.

რეკომენდაციები:

- *ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ ონლაინ მონაცემთა ბაზების ამონაბეჭდში ან სკრინშოტში უნდა მიეთითოს გამოქვეყნების თარიღი, როგორც განაცხადის შეტანის, ისე რეგისტრაციის თარიღისგან დამოუკიდებლად.*
- *დოკუმენტის ან ონლაინ მონაცემთა ბაზიდან ან რეესტრიდან ამონაწერის წარდგენისას, რომელიც შეეხება პატენტის ან დიზაინის უფლებებს, რეკომენდებულია გამოქვეყნების თარიღის ან/და [INID-ის 43-ე ან 45-ე კოდეზის მითითება](#) (იხ. მე-10 მაგალითის „ა“ ნაწილი), რადგან ეს რიცხვი მიუთითებს დიზაინის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომად ქცევის თარიღზე.*

2.4.2 გამოსახულებები და ვიდეოები

დიზაინზე ინფორმაციის გახსნა შესაძლებელია ინტერნეტით სურათებისა და ვიდეოების გაზიარებით, სადაც ნაჩვენები იქნება პროდუქტი, რომელშიც ჩართულია დიზაინი.

შესაბამისი თარიღის თვალსაზრისით, ეს უნდა იყოს თარიღი, როდესაც სურათი ან ვიდეო რეალურად იქნა ნანახი ან, სხვა შემთხვევაში, როდესაც ხელმისაწვდომი გახდა სანახავად ან ჩამოსატვირთად, მაგ., ონლაინპლატფორმაზე. გარდა ამისა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამისი თარიღი შეიძლება იყოს სურათის ან ვიდეოს ჩაწერის თარიღი. ამ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შესაბამისი დოკუმენტის მეტამონაცემების ანალიზით (იხ. ნაწილი 2.4.3).

მიუხედავად იმისა, რომ სურათი ჩვეულებრივ წარდგენილი იქნება ამონაბეჭდის ან სკრინშოტის სახით, მტკიცებულებების წარდგენის ხერხი, რომელსაც შეიცავს ვიდეო შეიძლება განსხვავდებოდეს. ეს შეიძლება იყოს თავად მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ვიდეო (მაგალითად, როგორც დოკუმენტი) ან მხოლოდ დიზაინად აღქმული შესაბამისი ნაწილების ამონარიდები.

მხოლოდ URL მისამართის მითითება შეიძლება არ იყოს საკმარისი, რადგან მისი შინაარსი შეიძლება იყოს წაშლილი ან შეცვლილი. მას თან უნდა ახლდეს დიზაინის შესაბამისი ამონარიდები, რომელსაც ეს ვიდეო შეიცავს.

რეკომენდაციები:

- *როდესაც წარდგენილია თავად ვიდეო, გასათვალისწინებელია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის და სად გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი ეს ვიდეო (მაგ., ისეთი მტკიცებულება, როგორცაა სოციალურ მედია-გვერდებზე განთავსებული ვიდეოს ამონაბეჭდი, ან როდის გამოქვეყნდა ეს ვიდეო ვებგვერდზე რეკლამის სახით).*

- ვიდეოს წარდგენისას, რეკომენდებულია ვიდეოში ზუსტი დროის (წყობები), წამები) მითითება.
- თუ ინფორმაციის გახსნის სხვა თარიღი არ არის მითითებული, შეიძლება მომხმარებლების მიერ გაკეთებული კომენტარების მტკიცებულების სახით გამოყენება, იმ პირობით, თუ ისინი დათარიღებულია.
- წარდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია იმ წყაროს შესახებ, რომელიც შეიცავს სურათებს ან ვიდეოებს.

2.4.3 მეტამონაცემები

ინტერნეტით ინფორმაციის გახსნის მტკიცებულება შეიძლება შეიქმნას შეყვანილი მეტამონაცემების ანალიზის გზით (ან [EXIF-ის მონაცემებით](#), იხ. მე-12 მაგალითის „C“ ნაწილი), მაგალითად, სურათებით, ვიდეოებითა და ვებგვერდებით. მაგალითად, სურათი შეიძლება თავისთავად შეიცავდეს გარკვეულ ინფორმაციას, როგორცაა, ავტორი, შექმნის ან ცვლილების თარიღი ან გადაღების ადგილი (იხ. მე-11 და მე-12 მაგალითების „A“, „B“ და „C“ ნაწილები).


ასეთი ინფორმაცია შეიძლება სასარგებლო იყოს დიზაინზე ინფორმაციის გახსნის მტკიცებულებების წარსადგენად, განსაკუთრებით, შესაბამისი თარიღის (მაგალითად, კონკრეტულ ვებგვერდებზე სურათის ატვირთვის თარიღი) ან სურათის გადაღების ადგილის გათვალისწინებით.

არსებობს მეტამონაცემების მოპოვების სხვადასხვა ხერხი. მოწყობილობის (მაგალითად, სმარტფონი ან ციფრული ფოტოაპარატი) და შესაბამისი დოკუმენტის შენახვის მიხედვით, შესაძლებელია მეტამონაცემებზე წვდომა სურათზე „ინფორმაციის“ ვარიანტის უბრალოდ შერჩევით ან უფრო სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით (ე.ი. მეტამონაცემების მნახველებით). მეტამონაცემის ტიპი, რომლის ამოღებაც შესაძლებელია, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ინახავს მოწყობილობა დოკუმენტს და მის შესაძლებლობებზე.

ციფრული აპარატის ფოტოდან ამოღებული მეტამონაცემები


| Basic Image Information | |
|----------------------------------|---|
| Target file: Alicante_EUIPO6.JPG | |
| Camera: | Olympus VG170 |
| Lens: | 4.7 mm (Max aperture f/2.8) (shot wide open) |
| Exposure: | Auto exposure, Creative (Slow speed), 1/1,000 sec, f/2.8, ISO 80 |
| Flash: | Auto, Did not fire |
| Date: | December 1, 2018 11:41:04AM (timezone not specified) (3 months, 10 days, 20 hours, 14 minutes, 12 seconds ago, assuming image timezone of US Pacific) |
| File: | 4,288 x 3,216 JPEG (13.8 megapixels) 3,192,982 bytes (3.0 megabytes) |
| Color Encoding: | WARNING: Color space tagged as sRGB, without an embedded color profile. Windows and Mac browsers and apps treat the colors randomly. <small>Images for the web are most widely viewable when in the sRGB color space and with an embedded color profile. See my introduction to Digital-Image Color Spaces for more information.</small> |

Extracted 640 x 480 74-kilobyte "MakerNotes:PreviewImage" JPG Displayed here at 70% width (1/61 the area of the original)



Click image to isolate; click this text to show histogram

მაგალითი 11



მაგალითი 12

რეკომენდაციები:

- თუ მეტამონაცემები წარდგენილი იქნება მტკიცებულების სახით, რეკომენდებულია ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა მისი მოპოვება, რა სახის ინფორმაცია და რომელი წყაროდან იყო მოპოვებული.

2.4.4 URL მისამართები და ჰიპერბმულები

URL მისამართები და ჰიპერბმულები, როგორც ასეთი, არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარის მტკიცებულებად დიზაინზე ინფორმაციის გახსნის დასადასტურებლად. მათ თან უნდა დაერთოთ დამატებითი მტკიცებულებები, რადგან URL მისამართის ან ჰიპერბმულის საშუალებით ხელმისაწვდომი ინფორმაცია შეიძლება მოგვიანებით შეიცვალოს ან წაიშალოს. უფრო მეტიც, შეიძლება ძნელი იყოს შესაბამისი ინფორმაციის დადგენა (დიზაინის, ინფორმაციის გახსნის თარიღის და ა.შ.).

რეკომენდაციები:

- თუ წარდგენილია URL მისამართი ან ჰიპერბმული, წარდგენილ უნდა იქნას შესაბამისი ინფორმაციის ამსახველი ამონაბეჭდი ან სკრინშოტი.

2.4.5 წერილობითი განაცხადებები

ზოგადად, წერილობითი განაცხადები, დამტკიცებული ან დამოწმებული, როგორცაა აფიდავიტი ან ფიცი, თავისთავად არ იქნება საკმარისი გამჟღავნების ფაქტის ან იმის

დასამტკიცებლად, რომ დიზაინი არ არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. იმ ფაქტმა, რომ ის შესრულებულია მესამე მხარის მიერ, შეიძლება გაზარდოს მათი დამამტკიცებელი ღირებულება¹⁹, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თან ახლავს გამჟღავნების დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულება²⁰.

რეკომენდაციები:

- წერილობით განცხადებებში შემავალი ინფორმაცია, დამტკიცებული ან დამოწმებული, უნდა მოიცავდეს ისეთ დამატებით მტკიცებულებას, როგორცაა ამონაბეჭდი ან სკრინშოტი, რომელშიც მოცემულია ინფორმაციის გახსნის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია (მაგ., დიზაინი, ინფორმაციის გახსნის თარიღი და სხვ.).

2.5 გამონაკლისები დიზაინის ხელმისაწვდომობაზე

თუ ერთხელ უკვე დადასტურდა დიზაინზე ინფორმაციის გახსნის ფაქტი, ე.ი. როდესაც დიზაინი რეგისტრაციის შემდეგ ან სხვაგვარად გამოქვეყნდა, ან გამოიფინა, გამოყენებული იყო ვაჭრობაში ან სხვაგვარად გავრცელდა, ივარაუდება, რომ ეს დიზაინი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად.

მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული დათქმა ადგენს შემდეგ გამონაკლისებს, რომლის თანახმადაც, დიზაინი არ ჩაითვლება საჯაროდ ხელმისაწვდომად:

- თუ ინფორმაციის გახსნის შემთხვევები ჩვეულებრივ ვერ გახდებოდა საჯარო პირებისათვის, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მოცემულ სფეროში საქმიანობენ;

თუ, დიზაინზე ინფორმაციის გახსნა მესამე პირის მიმართ მოხდა პირდაპირ ან ირიბად კონფიდენციალობის დაცვის პირობით;

- თუ დიზაინი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა დიზაინერის, ან მისი უფლება მონაცვლის მიერ, 12-თვიან პერიოდში, განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის თარიღამდე;
- თუ დიზაინი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა დიზაინერის მიმართ განხორციელებული არაკეთილსინდისიერი ქმედების შედეგად.

ზოგადად, ინტერნეტის გლობალური ბუნების გათვალისწინებით, ონლაინკონტენტი ხელმისაწვდომია მთელ მსოფლიოში.

მხოლოდ გარკვეულ გარემოებებში არ ჩაითვლება, რომ ეს კონტენტი ჩვეულებრივი წესით გახდა ცნობილი შესაბამის სფეროში, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი პირებისათვის, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს გარკვეული შეზღუდვებით, კერძოდ, ინფორმაციის ინტერნეტით [ხელმისაწვდომობის](#) ან [ძიების](#) შეზღუდვით. თუმცა, ინფორმაციის გახსნის ვარაუდის უარყოფის მიზნით, ეს გამონაკლისი უნდა დადასტურდეს შესაბამისი

¹⁹ 09/03/2012, T-450/08, Phials, EU:T:2012:117, § 39-40 ; 11/12/2014, T-498/13, NAMMU/NANU, EU:T:2014:1065, §38

²⁰ 18/11/2015, T-813/14, Cases for portable computers, EU:T:2015:868, § 29

მტკიცებულებების წარდგენით²¹.

იმის გაანალიზებისას, შესაძლებელია თუ არა დიზაინზე ინფორმაციის გახსნა ჩვეულებრივი წესით გამხდარიყო ცნობილი ბიზნესის ჩვეული წარმოებისას საქართველოში მოცემულ სფეროში მოქმედი პირებისათვის, უნდა შემოწმდეს, ფაქტების საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნას იმ მხარის მიერ, რომელიც სადაოს ხდის ინფორმაციის გახსნას, რომ სინამდვილეში შეუძლებელი იყო ამ წრეებისათვის ცნობილი ყოფილიყო მოვლენები, რომლებიც წარმოადგენდა დიზაინზე ინფორმაციის გახსნას, იმის გათვალისწინებით, თუ რა შეიძლება გონივრულად მოეთხოვოთ ამ წრეებს ასეთი ცოდნის თვალსაზრისით²².

ეს ფაქტები შეიძლება ეხებოდეს, მაგალითად, სპეციალიზებული წრეების შემადგენლობას, მათ კვალიფიკაციას, ადათ-წესებსა და ქცევას, მათი საქმიანობის სფეროს, ღონისძიებებზე დასწრებას, სადაც წარმოდგენილია დიზაინები, განსახილველი დიზაინის მახასიათებლებს, როგორცაა მისი ურთიერთდამოკიდებულება სხვა პროდუქტებსა ან სექტორებზე, და იმ პროდუქტების მახასიათებლებს, რომელშიც ჩართულია აღნიშნული დიზაინი, მათ შორის, შესაბამისი პროდუქციის ტექნიკურობის ხარისხს²³.

თუ ერთი და იგივე დიზაინი მრავალ წყაროშია გამოქვეყნებული (მაგ., ერთი და იგივე დიზაინი გამოქვეყნებულია კომპანიის ვებგვერდზე (იხ. მე-13 მაგალითის „A“ ნაწილი), სოციალური მედიის ანგარიშზე (იხ. მე-12 მაგალითის „B“ ნაწილი) ბლოგებში ან სხვა მსგავს ვებგვერდებზე (იხ. მე-12 მაგალითის „C“ ნაწილი), მაშინ მხარე, რომელიც სადაოს ხდის დიზაინზე ინფორმაციის გახსნას, ვალდებულია უარყოს ინფორმაციის გახსნის ყველა წარმოდგენილი მოვლენა.



მაგალითი 13

იმის შეფასებისას, რომ დიზაინზე ინფორმაციის გახსნა გონივრულად ხომ არ გახდა ცნობილი ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას, ამავე სფეროში, საქართველოს ტერიტორიაზე

²¹ 14/03/2018, T-651/16, Footwear, EU:T:2018:137, § 54

²² 14/03/2018, T-651/16, Footwear, EU:T:2018:137, § 56

²³ 21/05/2015, T-22/13 and T-23/13, Umbrellas, EU:T:2015:310, § 29

მოქმედი პირებისათვის შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს შემდეგი ასპექტები

- პაროლები და გადახდები
- ენა და [ზედა დონის დომენი](#)
- მოძიებადობა
- [Geo-ბლოკირება](#)
- კონფიდენციალურობა

2.5.1 პაროლები და გადახდები

ზოგადად, არც ადამიანთა შეზღუდული წრისათვის წვდომის შეზღუდვა პაროლის დაცვით და არც წვდომისათვის საჭირო თანხის გადახდის დაწესება არ შეუშლის ხელს დიზაინს, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა ვებგვერდზე, აპში ან ფაილის გაზიარების პლატფორმაზე, ჩაითვალოს საჯაროდ ცნობილად. მიუხედავად ამისა, დიზაინზე ინფორმაციის გახსნის ასეთი შემთხვევა, თუ რამდენად გონივრულად არ გახდა ცნობილი ამავე სფეროში, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი პირებისათვის, შეიძლება დამოკიდებული იყოს კონკრეტული საქმის სპეციფიკურ გარემოებაზე.

მეორეს მხრივ, გარკვეულ შიდა მონაცემთა ბაზაზე (მაგალითად, ისეთებზე, რომლებსაც მხოლოდ კომპანიის თანამშრომლები იყენებენ) შეზღუდულმა წვდომამ, ბიზნესის ჩვეული წარმოებისას, შეიძლება ხელი შეუშალოს დიზაინზე ინფორმაციის გახსნის შემთხვევის ცნობილად გახდომას საქართველოში, შესაბამის სფეროში მოქმედი წრეებისთვის.

2.5.2 ენა და ზედა დონის დომენის სახელები

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ენებმა შეიძლება გავლენა არ მოახდინონ დიზაინის აღქმაზე, მათ შეიძლება ხელი შეუშალოს ინტერნეტით მათი მოძიების შესაძლებლობას. შესაბამისად, ინფორმაციის გახსნის შეფასებისას, უნდა დადგინდეს, შეეძლება თუ არა შესაბამის სპეციალიზებულ წრეებს ბიზნესის ჩვეულებრივი წარმოებისას, ინფორმაციის შესაბამის ენაზე მოძიება. საქართველოში, შესაბამის სფეროში მოქმედი წრეებისთვის შეიძლება იყოს ან არც იყოს შესაძლებელი მონაცემთა ბაზების დათვალიერება საქართველოში ცნობილ ენებზე.

მეორეს მხრივ, სურათების ძიების ტექნოლოგიამ ტექნიკურად დახვეწილ დონეს მიაღწია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დიზაინის პოვნა მაშინაც კი, თუ ის გამოქვეყნებულია ისეთ ვებგვერდზე, რომელიც არ არის საქართველოში ძირითადად გამოყენებად ენაზე.

რაც შეეხება ზედა დონის დომენებს, პრინციპში, ისინი გავლენას ვერ მოახდენენ ინტერნეტში დიზაინის მოძიების შესაძლებლობაზე. თუმცა, მათ შეუძლიათ მიუთითონ, ჰქონდათ თუ არა დაინტერესებულ სპეციალიზებულ წრეებს გარკვეულ ვებგვერდზე წვდომა.

2.5.3 მოძიებადობა

იმის შეფასებისას, რომ ინტერნეტით დიზაინზე ინფორმაციის გახსნის ფაქტი გონივრულად ცნობილი გახდა თუ არა ბიზნესის ჩვეული წარმოებისას საქართველოში, შესაბამის სფეროში მოქმედი წრეებისთვის, შეიძლება საჭირო გახდეს იმის განსაზღვრა, ჰქონდათ თუ არა ამ წრეებს ინტერნეტით ყველა საჯაროდ ცნობილი დიზაინის მოძიების შესაძლებლობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს, იყო თუ არა კონკრეტული ვებგვერდი ტექნიკურად ხელმისაწვდომი.²⁴ უფრო მეტიც, იმის შეფასებისას, იყო თუ არა შესაძლებელი ინტერნეტში შესაბამისი ინფორმაციის მოძიება გასათვალისწინებელია სპეციფიკური წეს-ჩვეულებები ან ქცევები მოცემული სექტორის სპეციალიზებული წრეების ჩვეულ რეჟიმში მუშაობისას.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც საძიებო სისტემებში ხდება ვებგვერდების ინდექსირება, მასში შედის ყველა სახის თავისუფლად ხელმისაწვდომი კონტენტი. ასეთი ინდექსირება ემსახურება ინტერნეტში შესაბამისი შედეგების მოძიებას. შესაბამისად, საძიებო სისტემაში გამოსახულების ინდექსირებისას, სავარაუდოდ, შესაძლებელია მათი მოძიება შესაბამისი წრეების მიერ. თუმცა, თუ ვებგვერდი სპეციალურად ისე არის მოწყობილი, რომ უარყოს ან შეზღუდოს ვებრობოტზე წვდომა, მისი კონტენტი არ იქნება დაფიქსირებული (იხ. ნაწილი 2.3.1).

2.5.4 Geo-ბლოკირება

Geo-ბლოკირება ასევე შეიძლება იყოს მეორე ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოში, შესაბამის სფეროში მოქმედი წრეების მიერ ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.

ვებგვერდების კონტენტის განხილვისას, Geo-ბლოკირება ყველაზე ხშირად ასოცირდება მის გამოყენებასთან ინტერნეტით ისეთ პრემიუმ მულტიმედიურ შინაარსზე წვდომის შესაზღუდად, როგორცაა ფილმები და სატელევიზიო შოუები, პირველ რიგში, საავტორო უფლების დაცვისა და ლიცენზირების მიზნით. თუმცა, შესაძლებელია არსებობდეს Geo-ბლოკირების სხვა მეთოდებიც, რომლებიც მოიცავს უკანონო ტრეფიკის დაბლოკვას, ფასების დისკრიმინაციის დაწესებას წვდომის ადგილის გათვალისწინებით და გარკვეულ ქვეყნებში, ინტერნეტში ცენზურასაც კი.

2.5.5 კონფიდენციალურობა

„დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დიზაინი არ უნდა ჩაითვალოს საჯაროდ ხელმისაწვდომად მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი მესამე პირებისთვის ცნობილი გახდა კონფიდენციალურობის დაცვის პირდაპირი ან არაპირდაპირი პირობების ფარგლებში. ამდენად, ისეთი სიტუაციები, როცა დიზაინზე ინფორმაციის გახსნა კონფიდენციალურობის დაცვის პირდაპირი ან არაპირდაპირი პირობების გათვალისწინებით მოხდა, არ წარმოადგენს დიზაინზე ინფორმაციის გახსნის ფაქტს.

მიუხედავად ამისა, კონფიდენციალურობის შესახებ სარჩელის ეფექტურობა შესაძლოა დამოკიდებული იყოს კონკრეტულ გარემოებებზე. მაგალითად, ელექტრონული ფოსტის შემთხვევაში, კონტენტმა, მიმღებებმა და ელექტრონული ფოსტის მიზანმა შეიძლება გავლენა იქონიოს ასეთი სარჩელის ნამდვილობაზე. ამრიგად, როდესაც ადრესატთა დიდ ჯგუფს ეგზავნება ელექტრონული ფოსტა, რომელიც შეიცავს კონფიდენციალურობის მოთხოვნას, მათ შორის საბითუმო დისტრიბუტორებს ახალი პროდუქტებზე ფასდაკლების შესახებ, არ არის აუცილებელი ის ჩაითვალოს კონფიდენციალურად.

²⁴ 14/03/2018, T-651/16, Footwear, EU:T:2018:137, § 61

რეკომენდაციები:

- [ვებგვერდის ტრეფიკი შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული](#), იმის შესაფასებლად ჰქონდათ თუ არა სპეციალიზებულ წრეებს წვდომა მის კონტენტთან. არსებობს ვებგვერდით ტრეფიკის დადგენის სხვადასხვა გზა, როგორცაა [გვერდის ნახვა](#), [გვერდზე გადასვლა](#) და სესია, რაც ასევე შეიძლება დადგინდეს ვებანალიტიკის ან მსგავსი საშუალებების გამოყენებით.
- ინტერნეტით დიზაინის ინფორმაციის გახსნის შეფასებისას, რეკომენდებულია გაითვალისწინოთ ტეგირების სისტემები, ჰეშთეგები და კავშირები საძიებო ტერმინებსა და დიზაინის გამოსახულებებს შორის სხვადასხვა [ინტერნეტ პლატფორმაზე](#).
- სოციალური მედიის პლატფორმებზე, დიზაინზე ინფორმაციის გახსნის ხელმისაწვდომობის შეფასებისას ასევე, შეიძლება გათვალისწინებული იქნეს „პოპულარობის“ ისეთი ინდიკატორები, როგორცაა შესული ადამიანების რაოდენობა, ნახვები, პოსტზე დაჭერა, რეაქციები, კომენტარები, გაზიარება, მომხრეები და მოწონებები (იხ. მე-14 მაგალითის „A“ მითითება).



მაგალითი 14

დანართი: ტერმინოლოგიური ლექსიკონი

| ტერმინები | განმარტება |
|--|--|
| ხელმისაწვდომობა | ვებგვერდზე ან ინტერნეტის სხვა კონტენტზე წვდომის შესაძლებლობა. |
| აპი (აპლიკაცია) | პროგრამა ან პროგრამების ჯგუფი, რომელიც შეიქმნა საბოლოო მომხმარებლისთვის. მასში შედის მონაცემთა ბაზის პროგრამები, მედია პლუერები, ტექსტების დამამუშავებლები, ბრაუზერები, ცხრილები და სხვა პროგრამები. ისინი შექმნილია კოორდინირებული ფუნქციების, ამოცანების ან აქტივობების შესასრულებლად. |
| ბლოგი | ვებგვერდი, რომელიც შეიცავს ონლაინრეჟიმში პერსონალურ მოსაზრებებს, კომენტარებსა და ხშირად ბმულებს, შემქმნელის მიერ მოწოდებულ ვიდეოებსა და ფოტოებს. |
| (ვებგვერდი) ქეში | საინფორმაციო ტექნოლოგია ისეთი ვებდოკუმენტების დროებითი შენახვისათვის (ქეშირებისათვის), როგორცაა HTML გვერდები და სურათები, სერვერების შეფერხების შესამცირებლად. |
| ონლაინ მონაცემთა ბაზა | ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის ან მონაცემების ნაკრები, რომელიც მომზადებულია კომპიუტერით სწრაფი ძებნისა და აღდგენისთვის. |
| დიზაინი | დიზაინი არის მთლიანი პროდუქტის ან მისი ნაწილის გამოხატულება, რომელიც გამომდინარეობს თვით პროდუქტის ნიშნებისაგან, მათ შორის, ხაზებისაგან, კონტურებისაგან, ფერებისაგან, ფორმისაგან, ტექსტურისაგან ან/და მასალისაგან, ან პროდუქტის მორთვისაგან |
| დიზაინერი | პირი, რომელიც ქმნის პროდუქტის დიზაინს. |
| ელკომერცია (ელექტრონული კომერცია) პლატფორმები | ინტერნეტპლატფორმები, რომლებიც აადვილებს საქონლისა და მომსახურების ონლაინოპერაციებს ინტერნეტით ინფორმაციისა და თანხების გადაცემის საშუალებით. |
| ელფოსტა (ელექტრონული ფოსტა) | ელექტრონული მოწყობილობების სისტემა ინტერნეტით შეტყობინებების („ფოსტის“) გაცვლისთვის. |
| ელექტრონული დროის აღნიშვნა | მონაცემები ელექტრონული ფორმით, რომლებიც სხვა მონაცემებს ელექტრონული ფორმით უკავშირებს კონკრეტულ დროს და ადასტურებს ამ უკანასკნელის მონაცემების იმ დროს არსებობას. დროის აღნიშვნის ზოგიერთი მომსახურება ემყარება ბლოკჩეინის ტექნოლოგიას. |
| EXIF (გაცვლადი გამოსახულების ფაილის ფორმატი) მონაცემები | სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს სურათების, ხმისა და დამატებითი ტეგების ფორმატებს და რომელიც გამოიყენება ციფრული კამერების (სმარტფონების ჩათვლით), სკანერების და ციფრული კამერების მიერ |

| | |
|--|---|
| | ჩაწერილი გამოსახულებისა და ხმის ფაილების დასამუშავებლად. |
| ფაილის ჰოსტინგი | ფაილების გაზიარების მომსახურება, რომელიც პლატფორმაზე ინახავს ფაილებს, საიდანაც შემდეგ მომხმარებლებს შეეძლებათ მათი გადმოწერა. პირდაპირი გადაცემა მომხმარებლის კომპიუტერებს შორის არ ხდება. |
| ფაილის გაზიარება | ისეთი ციფრული ინფორმაციის ან რესურსების გაზიარების ან შეთავაზების პრაქტიკა, როგორცაა დოკუმენტები, მულტიმედია (აუდიო/ვიდეო), გრაფიკა, კომპიუტერული პროგრამები, სურათები და ელექტრონული წიგნები. |
| სასამართლო ექსპერტიზის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტები | ინსტრუმენტები, რომლებიც გამომძიებლებს ეხმარება კომპიუტერებიდან მტკიცებულებების მოძიებასა და სათანადო ინფორმაციის იდენტიფიკაციაში, შენახვაში, ციფრული სასამართლო ექსპერტიზის სტანდარტების შესაბამისად გამოძიებაში. |
| Geo-ბლოკირება | უსაფრთხოების ფორმა, რომელიც მომხმარებლის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ელექტრონულ ფოსტაზე, ვებგვერდზე ან სხვა ინტერნეტსერვერებზე და კონტენტზე წვდომის შეზღუდვის მიზნით. მომხმარებლის ადგილმდებარეობა განისაზღვრება მათი IP მისამართის (ქვეყნის) ან არასასურველი ან უკანონო მისამართების შემოწმებით |
| ჰიპერბმული | მითითება ინფორმაციაზე, რომელზეც მომხმარებელს შეუძლია პირდაპირ შესვლა ჰიპერბმულზე დაჭერით, შეხებით ან გადასვლით. ჰიპერბმული შეიძლება იყოს მთლიანი დოკუმენტი ან დოკუმენტში მოცემული კონკრეტული ნაწილის ბმული. |
| INID კოდები 43 და 45 | საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული მონაცემების იდენტიფიკაციის საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ნომრების აბრევიატურა, რომელიც დადგენილია WIPO-ს სტანდარტით ST.9 (პატენტებისა და სასარგებლო მოდელებისთვის), ST.60 (სასაქონლო ნიშნებისთვის) და ST.80 (დიზაინებისთვის). INID კოდები მსოფლიოში ინტელექტუალური საკუთრების უწყებების მიერ გამოიყენება პატენტების მოწმობის თავფურცელზე, გამოგონების განაცხადში ან დიზაინის პუბლიკაციებში კონკრეტული ბიბლიოგრაფიული მონაცემების მისათითებლად. |
| ინტერნეტი | ურთიერთდაკავშირებული კომპიუტერული ქსელების გლობალური სისტემა, რომელიც მოიცავს ყველა ტიპის ქსელს, მიუხედავად მათი წვდომისა (ე.ი. თავისუფლად ხელმისაწვდომი ან დახურული), დაფარული ზონისა (მაგ., გლობალური ინტერნეტქსელები (WANs), ადგილობრივი ინტერნეტქსელებისა (LANs) და ა.შ.), კავშირის ტიპისა (სადენიანი ან უსადენო), დაკავშირებული მოწყობილობებისა (მაგ., კომპიუტერი, |

| | |
|---------------------------------|--|
| | სმარტფონი, სათამაშო კონსოლები და ა.შ.), საკუთრებისა (ე.ი. სახელმწიფო ან კერძო) და დანიშნულებისა (ე.ი. განათლება, ბიზნესი და ა.შ.). |
| მეტამონაცემები | მონაცემები, რომლებიც გამოიყენება გარკვეული ნივთის (მაგ., ფოტო, სურათი, ვიდეო ან ელექტრონული წიგნი) კონტენტის აღსაწერად. |
| აპის (მობილური) ვერსია | აპლიკაციის პროგრამა, რომელიც შექმნილია მობილურ მოწყობილობაზე გასაშვებად, როგორცაა, სმარტფონი ან ტაბლეტი კომპიუტერი, რომელთა მიზანია მომხმარებლებისთვის ისეთივე მომსახურებების მიწოდება, როგორც პერსონალური კომპიუტერებით. |
| ონლაინმედია | ონლაინ კომუნიკაციის ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება ინფორმაციის წარსადგენად ან გასაცვლელად. |
| გვერდზე გადასვლა | ვებსერვერის წვდომის ჟურნალში ერთი ფაილის მოთხოვნა. სამი გრაფიკული გამოსახულების მქონე HTML-ის გვერდის მოთხოვნისას, ჟურნალში გენერირდება ოთხი ფაილი: ერთი HTML-ის ტექსტური ფაილი და სამი - თითოეული გრაფიკული გამოსახულების ფაილი. |
| გვერდის ნახვა | კონკრეტულ ვებგვერდზე გვერდის მონახულება. თუ სტუმარი გადატვირთავს გვერდს, ეს ჩაითვლება გვერდის დამატებით ნახვად. თუ მომხმარებელი გადავა სხვა გვერდზე და შემდეგ ისევ დაუბრუნდება თავდაპირველ გვერდს, ეს ჩაითვლება, როგორც სხვა გვერდის ნახვა. |
| პაროლი | სიმბოლოების (საიდუმლო) თანმიმდევრობა, რომლებიც მომხმარებელმა უნდა შეიყვანოს ელექტრონულად ჩაკეტილ ან დაცულ კომპიუტერზე, ფაილზე ან პროგრამაზე წვდომის მისაღებად. |
| გადახდა | მომსახურება, რომელიც ავტომატურად ასრულებს საგადასახადო ოპერაციას მყიდველსა და გამყიდველს შორის. უმეტეს შემთხვევაში, ჩვეულებრივ, არსებობს მესამე მხარის მომსახურება, რომელიც უსაფრთხო ინტერნეტკავშირითა და გამყიდველის სახელით ამუშავებს, ამოწმებს და ადასტურებს ან უარყოფს საკრედიტო ბარათის ოპერაციებს. |
| P2P (ერთრანგოვანი ქსელი) | ფაილის გაზიარების მეთოდი, რომლითაც შესაძლებელია კომპიუტერებით ერთმანეთისთვის ინფორმაციის პირდაპირ გაგზავნა ცენტრალიზებული სერვერის გავლის გარეშე. |
| ინტერნეტპლატფორმა | ტექნოლოგიების ჯგუფი, რომლებიც გამოიყენება, როგორც ბაზა, რომლის საშუალებითაც იქმნება სხვა პროგრამები, პროცესები ან ტექნოლოგიები. |

| | |
|--|---|
| | პერსონალური კომპიუტერებში, ეს არის ძირითადი ტექნიკური მოწყობილობა (კომპიუტერი) და პროგრამული უზრუნველყოფა (ოპერაციული სისტემა), რომლითაც მუშაობს აპლიკაციები. |
| დაბეჭდვის თარიღი | კომპიუტერის მიერ მინიჭებული თარიღი, რომელიც მიუთითებს ვებგვერდის კონტენტის „დაბეჭდვის“ დროზე (იქნება ეს ნაბეჭდი/ქაღალდის ასლი თუ PDF ფორმატში). ეს თარიღი ნაჩვენებია შესაბამისი გვერდ(ებ)ის ზედა ან ქვედა ნაწილში. |
| ამობეჭდვა | კომპიუტერიდან ან მსგავსი მოწყობილობიდან მოპოვებული ინფორმაციის ქაღალდის ასლი ან PDF ვერსია, რომელიც შექმნილია პრინტერის მიერ. |
| კვალიფიციური ელექტრონული დროის აღნიშვნა | ელექტრონული დროის აღნიშვნა, რომელიც აკმაყოფილებს კონკრეტულ მოთხოვნებს. კერძოდ, იგი ა) თარიღსა და დროს აკავშირებს მონაცემებთან ისე, რომ შეუძლებელი იყოს შესაბამისი მონაცემების შეუმჩნეველად შეცვლა. ბ) საფუძვლად უდევს დროებითი ინფორმაციის წყაროს, რომელიც დაკავშირებულია კოორდინირებულ უნივერსალურ დროსთან (საერთაშორისო დონეზე მართული ატომური დროის ერთიანი სისტემა, რომელიც უკავშირდება გრინვიჩის საშუალო დროს). |
| კვალიფიციური დროის აღნიშვნის მიმწოდებელი (კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელი – QTSP) | სანდო მომსახურების მომწოდებელი, რომელიც ელექტრონული ხელმოწერების შექმნისა და ვალიდაციის გარდა, აწვდის და ინახავს ციფრულ სერტიფიკატებს. სანდო მომსახურების მომწოდებელს მინიჭებული აქვს საზედამხედველო სტატუსი და საქართველოში ევალუბა ელექტრონული ხელმოწერის პროცედურების რეგულირება. |
| რობოტის გამორთვა | ვებგვერდებთან გამოყენებული სტანდარტი ვებრობოტებთან დასაკავშირებლად. რობოტის გამორიცხვა ატყობინებს ვებრობოტს, ვებგვერდის რომელი ნაწილი არ უნდა დამუშავდეს ან დასკანირდეს. |
| ამონაბეჭდი | ციფრული გამოსახულება, რომელიც შექმნილია მონაცემების შემგროვებელი ნაწილით ან ციფრულ ეკრანზე კონკრეტულ დროში განთავსებული მთლიანი ინფორმაციით (მაგ., კომპიუტერის ეკრანი, ტელევიზორი ან მობილური მოწყობილობა). |
| მომიებადობა | ვებგვერდის მოძიების შესაძლებლობა საძიებო სისტემის პროგრამაში საძიებო ტერმინების შეყვანით ან სხვა გზით. |
| საძიებო სისტემა | კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც ინტერნეტში ეძებენ კონკრეტული საკვანძო სიტყვ(ებ)ის შემცველ ინფორმაციას. |

| | |
|--|--|
| სესია | დროის დაუზუსტებელი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მომხმარებელი უწყვეტად, ან პერიოდულად დაკავშირებულია კონკრეტულ ვებგვერდთან. დროებითი კავშირი შედის სესიის განმარტებაში მრავალჯერადი, განზრახ გათიშვისა და ხელახლა დაკავშირების შესაძლებლობის შესამცირებლად, რომლებიც შექმნილია გვერდზე, გვერდების ნახვების რაოდენობის გასაზრდელად. |
| სოციალური მედია | აპლიკაციები, პროგრამები და ვებგვერდები კომპიუტერზე ან მობილურ ხელსაწყოზე, რომელიც ხალხს საშუალებას აძლევს ინტერნეტით დაუკავშირდნენ ან გაუზიარონ ერთმანეთს ისეთი ინფორმაცია, როგორცაა ბლოგები და სოციალური ქსელების ვებგვერდები. |
| დროის აღნიშვნა | სიმბოლოების ან დაშიფრული ინფორმაციის თანმიმდევრობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ როდის მოხდა გარკვეული მოვლენა, ჩვეულებრივ თარიღისა და დროის მითითებით. |
| ზედა დონის დომენი (TLD) | დომენური სახელის ბოლო ნაწილი ან ის ნაწილი, რომელიც „წერტილის“ სიმბოლოს მოჰყვება. არსებობს წინასწარ განსაზღვრული სუფიქსის შეზღუდული რაოდენობა, რომლებიც წარმოადგენს ზედა დონის დომენს. ზედა დონის დომენების მაგალითებია: .com – კომერციული ბიზნესები .gov – სახელმწიფო უწყებები .edu – საგანმანათლებლო დაწესებულებები |
| URL (საინფორმაციო რესურსის მაჩვენებელი) | სპეციფიკური მითითება ვებრესურსის შესახებ, რომლის ნახვაც შესაძლებელია მსოფლიო ქსელში. URL-ები ჩვეულებრივ გამოიყენება ვებგვერდების (http), ფაილების გადაცემის (FTP), ელფოსტის (mailto), მონაცემთა ბაზასთან წვდომის (JDBC) და სხვა პროგრამების მითითების მიზნით. |
| ვლოგი | „ვიდეო ბლოგის“ შემოკლება, ეს არის ბლოგი, ან ვებჟურნალი, რომელიც მოიცავს ვიდეო კლიპებს. ის შეიძლება მთლიანად ვიდეოზე იყოს დაფუძნებული ან შეიძლება შეიცავდეს როგორც ვიდეოს, ასევე წერილობით კომენტარს. |
| WayBack-ის მანქანა | ონლაინციფრული არქივი, რომელიც მსოფლიო ქსელში და ინტერნეტში იღებს, მართავს და ეძებს ციფრულ კონტენტს. |
| ვებდაარქივება (მომსახურებები) | მსოფლიო ქსელში ნაწილების შეგროვების პროცესი, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინფორმაცია ინახება არქივში მომავალი მკვლევარებისთვის, ისტორიკოსებისა და საზოგადოებისთვის. |
| ვებრობოტი | ინტერნეტობოტი, რომლითაც, ვებინდექსირებისთვის, სისტემატურად თვალიერდება მსოფლიო ქსელი. |

| | |
|--------------------------------|---|
| ვებგვერდი | ხელმისაწვდომი და ურთიერთდაკავშირებული ვებგვერდების ერთობლიობა, რომლებსაც აქვთ ერთი საერთო დომენის სახელი. |
| ვებგვერდით გამავლობა (ტრეფიკი) | მნახველების მიერ ვებგვერდზე გაგზავნილი და მიღებული მონაცემების რაოდენობა. |

ციტირებული სასამართლო გადაწყვეტილებები

- **ფეხსაცმელი** [14/03/2018] საერთო სასამართლო, T-651/16
(ნაწილი 2.1 ძირითადი ცნებები, სქოლიო 5)
(ნაწილი 2.5 გამონაკლისები დიზაინის ხელმისაწვდომობაზე, სქოლიოები 21, 22)
(ნაწილი 2.5.3 მოძიებადობა, სქოლიო 24)
- **საქმეები მობილურ ტელეფონებთან დაკავშირებით** [27/02/2018] საერთო სასამართლო, T-166/15
(ნაწილი 2.2.3 ელექტრონული წერილები, სქოლიო 9)
(ნაწილი 2.4 ინტერნეტით მიღებული მტკიცებულებების წარდგენის საშუალებები, სქოლიო 15)
(ნაწილი 2.4.1 ბეჭდური ვერსიები და ეკრანის ანაბეჭდები, სქოლიო 18)
- **პორტატული კომპიუტერების საქმეები** [18/11/2015] საერთო სასამართლო, T-813/14
(ნაწილი 2.4.5 წერილობითი განცხადებები, სქოლიო 20)
- **NAMMU / NANU** [11/12/2014] საერთო სასამართლო, T-498/13
(ნაწილი 2.4.5 წერილობითი განცხადებები, სქოლიო 19)
- **ბოთლები** [09/03/2012] საერთო სასამართლო, T-450/08
(ნაწილი 2.4 ინტერნეტით მიღებული მტკიცებულებების წარდგენის საშუალებები, სქოლიოები 12 და 13)
(ნაწილი 2.4.5 წერილობითი განცხადებები, სქოლიო 19)
- **ქოლგები** [21/05/2015] საერთო სასამართლო, T-22/13 და T-23/13
(ნაწილი 2.1 ძირითადი ცნებები, პარაგრაფი (ii), სქოლიო 7)
(ნაწილი 2.5 გამონაკლისები დიზაინის ხელმისაწვდომობაზე, სქოლიო 23)
- **ბადის ავეჯი** [13/02/2014], ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, C-479/12
(ნაწილი 2.1 ძირითადი ცნებები, პარაგრაფი (i), სქოლიო 6)
- **ორნამენტი** [16/12/2010], საერთო სასამართლო, T-513/09
(ნაწილი 2.2.1.2 ონლაინ მონაცემთა ბაზები, სქოლიო 8)
- **საშხაპე დრენაჟის არხი** [21/09/2017], ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, C-361/15 P და C-405/15 P
(ნაწილი 2.4 ინტერნეტით მიღებული მტკიცებულებების წარდგენის საშუალებები, სქოლიო 14)
(ნაწილი 2.4.1 ბეჭდური ვერსიები და ეკრანის ანაბეჭდები, სქოლიო 17)
- **კარენ მილენის მოდეები** [19/06/2014], ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, C-345/13
(ნაწილი 2.4 ინტერნეტით მიღებული მტკიცებულებების წარდგენის საშუალებები, სქოლიო 14)